

ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ახალი იზირია

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

Organe de la Jeunesse National Démocrate Georgien.

ა-521

№3

[Handwritten signature]

ივნისი 1931წ.
პარიზი.



Handwritten signature or initials in the top right corner.



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ახალი ივერია

ივნისი 1931 წ.

N 3

Jun 1931

საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

ივნისი 1931 წ.

ქართველმა ახალგაზრდობამ პირველ დღესვე თავისი განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა იმ ეროვნულ ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ერი აწარმოებს შემოსეული რუსეთის წინააღმდეგ. უკანმოუხედავად, გაქანებული ახალგაზრდული გარაცებით სწორავს იგი თავის სიცოცხლეს სამშობლოს თავისუფლების იდეას.

ათი წლის ბრძოლის ისტორია სავსეა ამის მაგალითებით.

ეს მაგალითები მრავალგზით შემოწმებულია საქართველოს ჯალათების მიერ ჩეკის სარდაფებში, ევრაზე, კოჯრის გზაზე და სხვა-წმიდა ადგილებში.

ამ თავდადებისა და წამებთა ქედმოუხრელად ატანის სულიერ ძალას მარტო მამულის სიყვარული იძლევა და პნერგავს.

თუმცა საერთოდ, ჩვენი თაობის ახალგაზრდობა მწვავე ეროვნული ბრძოლის ატმოსფეროში აღიზარდა და მათ ეროვნული იდეისა და ინტერესების ძლევამოსილი პირველობა და უნივერსალობა ორგანიულად შეითვისა. მაგრამ მისი ერთი ნაწილი მაინც ვერ გაექცა იმ ძველი თაობის დამღუპველ მემკვიდრეობას, რომელსაც ახასიათებდა უგუნური ანტიეროვნული იდეოლოგია და რომელიც, ისტორიის უცნაურობის წყალობით, ჩვენს ქვეყანას სათავეში მოექცა და კიდევაც დაღუპა.

და დღეს, რამდენათაც ჩვენი ეროვნული მიზნის მიღწევა გვიანდება, და პირველი წლების ცხარე ხელჩართული ბრძოლები ერთნაირად მედგარი სულიერი წინააღმდეგობის სფეროში გადადის, იმდენად ამ ახალგაზრდობაში ცხრება სამშობლოს იდეის თვითმპყრობელობა და მასში თანდათან ფეხს იკიდებს და ძლიერდება, ეროვნული იდეალისა და მისი ენერგიული გამოსხადების ხარჯზე, სოციალიზმი მთელი მისი დამშლელი, ანტიეროვნული ატრიბუტებით.

ეს არის ქართველი სოციალისტური ახალგაზრდობა, ტყვე საშინელი მოძღვრებისა და პოტენციაში მატარებელი ეროვნული ინტერესის უარყოფისა.

ჩვენთვის, ვინც მიმდინარე ეროვნული ბრძოლის პროცესში აღვიზარდებით და მემკვიდრეობით მივიღეთ აზრი და ტემპერამენტი იმ თაობათა, რომელნიც ერის ინტერესების უზენაესობას ანობდნენ, ემსახურებოდნენ და ეწირებოდნენ—ჩვენთვის სამშობლო ყველაფერია. ჩვენი გრძნობა და შეგნება ინტეგრალურად მას უბყვრია.

ეს არის საქართველოს ეროვნული ახალგაზრდობა.

ჩვენ არ ვიცით კლასიური და ჯგუფური მიზანდასახულობა, ეს არ ეკარება ჩვენს ბუნებას, ვინაიდან იგი, როგორც პრინციპი, სწეწავს ერის მთლიანობას, ბადებს შუღლსა და მტრობას და ერის სხვა და სხვა ნაწილებს ერთმანეთზედ ამხედრებს. იგი აუძღურებს ერის სხეულს და აძაბუნებს მის შემომქმედ სულს და საბოლოო ანგარიშში ხელს უშლის ერის პიროვნების მაქსიმალურ გამობრწყინებას როგორც შინ, ისე გარედ. იგი აკნინებს სამშობლოს, რომლის მუდმივ დაწინაურებასა და განდიდებას ჩვენი მოქმედების იდეალად ვსახავთ,

სხვაა, თავის ბუნებით, ეროვნული ახალგაზრდობის სულიერი ყოფა და სხვაა სოციალისტური ახალგაზრდობისა.

პირველის სულიერი ყოფა მთლიანია, მთლიანად პატრიოტული, მთლიანად ეროვნული. შეუძლებელია მისი ან გაბობა, ან სხვა დირებულებაზედ გადახურდავება. ამ სულიერ ყოფას სუსტი ზაზი არ ახლავს, რომ მის გაყოფაზედ შესაძლებელი იყოს სამშობლოს იდეის გამანელებელი კონსტეპციის ან ჩასიათის აღმოცენება. იგი ერთი მთლიანი ბლოკია, იგია თვით სამშობლო და როგორც ასეთს, მას თავის თავის უარყოფა არ შეუძლიან არც ერთს მდგომარეობაში, არც ერთს მომენტში.

ასეთი ურყევი საფუძველი უძევს ყველა მას, ვისაც ასულმდგმულებს სამშობლოს იდეა და მისთვის თავდადება.

ყოველი ამ ნიადაგზედ გაშლილი შრომა, ყოველი ამ ნიადაგზედ დაშენებული ცოდნა და განათლება პირდაპირის გზით და განუწყვეტელად ერის საერთო ინტერესის საღაროში შედის და ფუნქციონალურ შედეგად მისი ყოველმხრივი დაწინაურება მოაქვს.

სოციალისტური ახალგაზრდობის სულიერი ყოფა თავიდანვეა გაორებული და გაბატონებული იდეალის როლს მასში სოციალიზმი თამაშობს. ეს უკანასკნელი ჩრდილავს სამშობლოს სახეს. მას ებრძვის, აზიანებს და თან და თან რიყავს თავის მსხვერპლის არსებიდან, მხოლოდ დიდი ეროვნული კატასტროფების დროს სოციალისტში პრიმატის ძალას ისევ ეროვნული გრძნობა იბრუნებს, თორემ ნორმალურად სოციალისტური სულიერი ყოფა ანტიეროვნულია;



როცა ამას ვწერთ, ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ დაუმსახურებელი შეურაცყოფა მივაყენოთ ქართველი ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენდა საუბედუროთ, განსაკუთრებული პირობების გამო, ეს საშინელი სენი შეჰყრია და ანადგურებს.

ჩვენ ობიექტიურად აღვნიშნეთ სოციალიზმის ბუნება და მისი პსიქოლოგიური არსება ეროვნული იდეისა და ინტერესის მიმართ. მისი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ერის მომკვდინებელ დოქტრინასთან. იგია საშინელი ტვინის სახადი, რომელიც ძველი თაობის ერთი ნაწილიდან ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე გადმოვიდა და მომავლისათვის დიდ სოციალურ უბედურებას წარმოადგენს. საჭიროა ძალიან მეთოდური და რაციონალური ბრძოლა მის წინააღმდეგ, რომ ერის კეთილდღეობა და მისი სულიერი ჯანმრთელობა მის მსახერხელ ხელს გადაურჩეს. ეს ყველა ჩვენთვის სერიოზული ეროვნული ამოცანაა და ქართული ეროვნული ახალგაზრდობა მას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.

ქურნალი «ახალი ივერია» ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანოა. დიდი ხანია, რაც ამ ქურნალის პირველი ორი ნომერი გამოვიდა. უსახსრობის გამო მათ რეგულიარულად შემდეგი ნომრები ვერ მივაყოლეთ. ეხლა ვაახლებთ მის გამოცემას იმ იმედით, რომ მკითხველ საზოგადოებას უფრო ხშირ-ხშირად მოვაგონებთ ჩვენ თავს. ამ ქურნალში საქართველოს მებრძოლი ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზრდობა მკითხველს გადაუშლის თავის სულსა და გულს, გააცნობს თავის აზრებსა და ფიქრებს, გაუზიარებს თავის ტკივილსა და იმედებს. ჩვენი მიზანია, რომ თავი მოუყაროთ და ჩვენი იდეის გარშემო მტკიცედ დავრჯნოთ, ის ეროვნული და პატრიოტული ახალგაზრდობა, რომელიც ჩვენს იდეურს სამშობლოს ეკუთვნის და მის განსამტკიცებლად მსხვერპლს გაიღებენ.

წამებულები ქვეყანა ერთგულ შვილთ უხმობს თვის სამსხვერპლოზედ. მისი დიდება თავისუფლება ჩვენს თავგანწირვაზედ უნდა დაფუძნდეს. ჩვენი სიცოცხლე საწინდარია მის უკვდავების,

ქაქუცა ხოლოცაშვილი.

ყველაფერი საკვირველია ამ ადამიანში. დაიბადა, როდესაც 34 წელიწადი შეუსრულდა. დაბადებიდან სამი წლის თავზე უკვე ხელთ ეპყრა ერის სუნიტკვა და იმედი და გადარიცხულ იყო საქართველოს მარადიულ ფიგურათა შორის.

ხევსურეთის აჯანყებიდან 24 წლის აგვისტომდე—აი მთელი მანძილი მისი არსებობისა!



გასაღმართია სისწრაფე მისი ზრდის: ამაში მარხია თვით საიდუმლოება მისი პიროვნებისა. ქაქუცა არავის შეუქმნია, არავის უზრუნვია, რომ მისთვის სახელი და გავლენა მოეხვეჭა. «ორგანიზაციული კომპანია» არ უწარმოებია მის განსაღიდებლად.. ამ მხრივ ნატამალი ხელოვნებისა მას არ გაჰკარებია. მასში ყველაფერი ბუნებრივი და




საქ. მთავარსარდალი ლენ. გ. კვინიტაძე და ერთგული გმირი ქაქუსა ჩოლოყაშვილი

სტიქიური იყო. იგი შინაგანი ძალით გაიზარდა. ეს ზომავს მის სიმაღლესა და სიღრმეს ქაქუცა შობილი იყო თავის დანიშნულებისათვის. ასეთია გმირების ბიოგრაფია საერთოდ.

ამ ასი წლის გამოღმა, უფრო სახელობრ კი, ამ უკანასკნელ ათ წელში, საქართველოს ბევრი ჰყოლია მისთვის წამებულნი და თავდადებულნი. მაგრამ მთელ ამ მანძილზედ თავის გმირად მარტო ერთი ჩოლოყაშვილი ჩამოაქანდაკა.

საქართველოს გასაჭირი დაუდგა და ქაქუცაც გამოცხადდა. ელვის სიმარდიტ დაურბინა საქართველოს საზღვრებს და მთელს ერს თავისი მკლავები შემოაღობა. თავისებური ჯადოთი მოიყიდა ყველას გული და მთელი მათი ჭირი და ვარამი, იმედი და მისწრაფება განუზომელი სიყვარულით გაათბო და თავის სულმნათ არსებაში ჩაიბინა.



ქაქუცა შინა ვიხსენი

სამავიეროდ, ეს თავისი საკვირველი შობილი, ქართველმა ერმა გულის სიღრმეში ნუგეზად ჩაისვა და მას სიყვარულისა და თაყვანების ტაძარი დაუდგა.....

ამ დღიდან საქართველოში მარტო ქაქუცაა. იგი ბატონია, მბრძანებელია, მეფეა უფრო მეტიც. იგი სასოებაა და იმედი ტანჯული ვრისა. ყველა მასთანაა და იგი ყველასთან. ქაქუცა და ქართველი ერთი ერთმანეთში გაითქვიფა. იშვა გმირი, საყვარელი ეროვნული გმირი. იგი დაუმარცხებელია: სამი მისი შეფიქსული სამას მტარვალს ეტოლებდა. ასი მისი შეფიქსული, ხევისურეთის კურთხეულ მხარეში, შვიდ ათასს ურჯულს ანადგურებს. ერთი ასის წინააღმდეგ! ეს ის გმირია, რომელიც საქართველოს ესაჭიროება. თვით ეს პროპორცია საქართველოს გამარჯვების საწინდარია. სამი მილიონი ქართველი ასობი მილიონი რუსის წინააღმდეგ! რისხვითი უპირატესობა საქართველოს მხარეზეა. ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება—ეს კიდევ ზედმეტი! მაშ წინ გასწი. საქართველოც!....

ქაქუცა კქმნის საყვარელთა აღფრთოვანებას და მიუძღვნის გამარჯვებას. მისთვის თხზავენ დაღნის გვირგვინებს. მისკენ იწევის მოხუცი და ახალგაზრდა. ხევისურის ქალები, თოფით ხელში, «ბიჭების» რიგში იბრძვიან.....

რუსის ჯარი და მისი ტყვია ქაქუცას ვერა სწვდება. დამარცხებული მტერი აღიარებს, რომ ჩოლოყაშვილი შეუუვლია... ქაქუცა ლეგენდაში გადადის.... მას ყველგან ხედავენ, მისი ხმა ყველას ესმის, მასხედ ყველგან საუბრობენ, ლექსებს თხზავენ, მღერიან.....

ქაქუცამ დღეს მხოლოდ ადგილი იცვალა, თორემ ერის გულში ისევ ისე სსოცსლობს. იგი წვრთნის და აწაადებს მის მომავალ თაობებს. აჩვენებს ბრძოლას, იარაღის ხმარებას, სამშობლოს სიყვარულს და მისთვის თავდადებას. იგი დღესაც საქართველოს მარადიულ მიზანს ემსახურება.

არც მარტოა, მას დაუხვდა და წინ მიეგება წყება სახელოვან წინაპართა. მათში ტოლებიც დაინახა და შეუდარებლად უფრო დიდნი და მაღალნიც. აქ გადარჩეულ და გაუკვდავებულ ქართველთა სამყაროა. თითოეული მათგანი და ყველა ერთად ის დ აურღვეველი სიმტკიცეა, რომელზედაც საქართველო დაშენებული.... მათი შეერთებული მოქმედება სამშობლოს უმზადებს მორიგ ღირსეულ მემკვიდრეს....

ეს უკვდავი ჩვენი გრძელი ქრთლოლოგიის ეპოქათა აღმნიშვნელნი სასვენი სვეტები არიან, ლამაზ ჩუქურთმებად ჩაწული სვეტნი. საქართველოს ტატნობი მათზეა დაბჯენილი. გამოასალე ესენი და საქართველო სიპარიელეში ჩაიკეცება. იგი აღარ არსებობს. ამ ჭეშმარიტების გარეშე შეუძლებელია საქართველოს აბსოლუტური ვაგება. ვისაც საქართველო განუტლია, ის მიხედება, რომ ამ ლეგენდების რთლი ყველაზედ უფრო საქართველოშია მნიშვნელოვანი, რომ მისი სხეული ამ ლეგენდებზეა დაჩოჩხილი.



ეს საკვირველი ქართველები ჰქმნიან ეროვნულ გრძნობის პათოს. გაეროვნებული და აღფრთოვანებული ერი კი ამ პათოსში ჰქარგავს თავის სასწაულ ისტორიას და გმირებს ლეგენდებში აუჭვდავებს. უკანასკნელად ეს როლი ქაქუცამ გაითამაშა. იგი საქართველოს სულ ბოლო დროის ლეგენდაა, წარმტაცი და ემზიანი ლეგენდა...

4
V

ეროვნული გზით.

ქართველი ახალგაზრდობის ეროვნული განწყობილება იმ თავითვე ეროვნულ დემოკრატიული პარტიის გარშემო დაირაზმა. მაშინ მარქსიზმი საქართველოში თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. მან თავის დროზე მძლავრი იერიში მიიტანა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პოზიციებზე. ყველასათვის სწობილია მათი ხანგრძლივი ანტი ეროვნული თეორია და პრაქტიკა, რომელიც ეროვნული ნილილიზმით დაიწყო და დიდი ეროვნული კატასტროფით დამთავრდა 1921 წ. თებერვალში, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალ თაობათა ამაგით და სისხლით მოპოებული საქართველოს თავისუფლებისა და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობა.

ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში თავიდანვე ეროვნული საკითხი იდგა. ქართველი ინტელიგენციის მრავალი თაობის დიდი ინტელექტუალური ენერჯია და პრაქტიკული ღონისძიებანი შეიწირა ამ საკითხმა. პირველი მუხამებრძოლი საქართველოსი იყო ი. ჭავჭავაძე. იგი ბუმბერაზ მთასავით აღიმართა ქართველი ერის ინტერესების სადარაჯოზე. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი მედგრად იგერიებდა შინაურ და გარეშე მტრების იერიშებს. საქართველოს დიდება და სახელი მან კვლავ აღადგინა და ერს მისცა მკვეთრი ეროვნული ფორმულა: «ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო». ეს ფორმულა იქნება ყოველი დროის და ყოველი თაობის მისწრაფება და იდეალი.

თავის მოღვაწეობის უკანასკნელ დროს ი. ჭავჭავაძეს მოუხდა ბრძოლა ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ. ისტორიული მატერიალიზმის პრინციპში გატარებული ეროვნული საკითხი მიუღებელი აღმოჩნდა ი. ჭავჭავაძის საქართველოსათვის. მან თავის რკინის ლოლიკით და იშვიათის პოლემიკით შესძლო მოპირდაპირის იდეური განიარაღება, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც ნ. ჟორდანიას ხედა, როგორც ახალი თაობის წარმომადგენელს. ამან კი საბედისწერო როლი ითამაშა ჩვენი შემდეგი საზოგადოებრივობის განვითარების ისტორიაში.

ამიერიდან საზოგადოებრივობის სარბიელი უცილობით დარჩათ ქართველ სოციალ-დემოკრატებს. აქედანვე იწყება მათი გეგმონიის ხანა საქართველოში. ფედე



რალისტების ლიდერის არჩილ ჯორჯაძის გენერალური ბრძოლა ერთგული პრობლე მის გარშემო ე. წორდანიასთან უმწეო აღმოჩნდა გაბატონებულ სოციალ. დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციული ძლიერების წინაშე. მენშევიზმი განუსაზღვრელად დაე უფლა საქართველოს და ფართე მასტაბით აწარმოვა მახინჯი ერთგული დოქტრინი პრინციპიანდა საქართველოში. რამაც ძალზე შეასუსტა ქართველი ხალხის ერთგულს შეგნება და იგი გადაგვარების გზით დააქანა. ილია ჭავჭავაძის ერთგული ლოზუნ გები მენშევიკურმა დემავგოვამ დაფარა, ილია ჭავჭავაძემ ჩვენი დასემული ვინაო ბას შეაღია მთელი თავისი მოღვაწეობა: სოც—დემოკრატები ძირს უთხრიდენ ამ დიდ ქართველის ნაკეთებ საქმეს. ქართველი ერის დიდ ნაწილს უარი ათქმვენიეს ჩვენს ერთგულ პოლიტიკურს უფლებებზე და იგი ერის საწინააღმდეგო ფსიქოლოგიით აღავსეს. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ერთგულმა ინტელიგენციამ იცნო მენშევიზმის ჰეგემონია თუმცა შეუწყვეტლად ებრძოდა მას, მაგრამ აქტივი ყოველთვის სუსტი იყო და ხელიდან ვეღარ გამოსტაცა ჩვენი საზოგადოებრივობის მეთაურობა და ყოველთვის გადამწყვეტ მომენტის დროს მის უკან მიმყოლი იყო.

რუსეთის რევოლუციამ და მისმა შემდგომმა განვითარებამ ყირამალა დააყენა მენშევიზმის ძველი შეგნებებიანი, ოქტომბრის გადატრიალებამ დავთარი დაუბნია მენშევიკების ბელადებს. თებერვლის რევოლუციის და რუსეთის დემოკრატიის გად სარჩენად საქართველოში გამაჭედენ. ბევრი მარცხისა და ადუნების შემდეგ იძულებული ვახთენ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ, რასაკვირველია თავიანთ სურვილისა და პროგრამის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა საქართველოს დამოუკიდებლობა მათთვის იყო საშვალება და არა თვით მიზანი ეს იყო მთავარი რომ მენშევიკებმა სამი წლის დამოუკიდებლობის ხანაში ვერ შესძლეს ქართული სახელმწიფოებრივობის განმტკიცება ვერც შინ და ვერც გარედ. მათი შინაური და საგარეო პოლიტიკა ძირეულად ეწინააღმდეგებოდა დამოუკიდებელ საქართველოს რეალ ინტერესებს. მენშევიკური მთავრობის «არც მარცხნივ და არც მარჯვნივ»-ის პოლიტიკა ხელსაყრელი შეიქნა ბალშევიკური რუსეთისათვის ერხელ კიდევ დაეპყრო საქართს ელო.

ი. ჭავჭავაძის რეალ ნიადაგზე აღმოცენებული ქართული საზოგადოებრივობის მემკვიდრეობა ხანგძლივად მოექცა ერთგული იდეის მოწინააღმდეგე სოციალისტურ ორგანოებში. მთელი საქართველო სოციალისტური იდეებით იქმნა შებყრობილი და გაქლენთილი. საჭირთ იყო ქართველი ერის მენშევიზმის ულლიდან დახსნა, მისი მარქსიზმის მიკრობებისაგან განთავისუფლება და ამით ერთგული ორგანიზმის გაჯანსაღება. ამ გარემოებამ აუსილებელი ვახადა ჩვენი საზოგადოებრივი ძალების ახალი გადაჯგუფება, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ერთგულ დემოკრატიულ პარტიის დაარსება. სამოციან წლების ერთგულ მოღვაწეების შემდეგ ეს იყო ერთადერთი სერიოზული ნაბიჯი არა სოციალისტური და ერთგული მიმდინარეობის შექმნისა და მისი ორგანიზაციული დარაზმვისა. დღეს ყველა ამ პარტიის დაარსებას ჩემულობს, მაგრამ



ავიწყდებათ რომ ნამდვილად ეროვ. დემოკრატიულ მიმართულების ჩამოყალიბება და პოლიტიკური პარტიის ფორმის მიღება მაშინ მოხდა, როცა პირველად გაზეთი საქართველო გამოვიდა.

სოსიალისტური პარტიების ხანძლივ ბატონობის გამო ერში ჩაისახა ანტი სოსიალისტური განწყობილება და თანდათან შემწადდა სოსიალიზმის საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური რეაქცია ამას ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა ეროვნული და ანტი სოსიალისტური პარტიის იდეური დაპირისპირება და ორგანიზაცია, თვით ჩვენს სოსიალურ და ეკონომიურს სწავრებაშიდაც ხდებოდა ღრმა სვლილებები.

ძველი ინტელიგენცია თავის მისიის დასრულების წინ იდგა. მას აღარ შეეძლო ფართე დემოკრატიულ წრეების ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივობის სარბიელი უნდა დაეთმო ახლად ამოძრავებულ ძალებისათვის ე. ი. ეროვნულ და დემოკრატიულ ინტელიგენციისათვის

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის დასაყრდნობ სოსიალურ ბაზად ხდება და ერის უმრავლესობა ქალაქის და სოფლის მესაკუთრენი. ჩვენ ვიპოთ რომ იმდროს თანდათან ვითარდებოდა იზრდებოდა სოფლის მეურნეობა და იგი ღებულობდა კულტურულ მეურნეობის სახეს. მიწად მომკმედი მეურნენი თავიანთი ინტერესების დასაცავად გზას იკავადენ და კავშირდებოდენ. ქალაქის ახლად შობილი ბურჟუაზია სულ ახალ ახალ პოზიციებს იხყრობდა და ეროვნული მრეწველობის გასაჩაღებლად ენერგიულად ემზადებოდა. ვაჭრობიდან უკვე საკმაო კაპიტალი იყო დაგროვილი, საჭირო იყო მისი წარმოებაში დაბანდება. მაგრამ სულთა მწუთავი რუსეთის მყრობელობა გეზგარავდა არა მარტო ეროვნულად და პოლიტიკურად არამედ ეკონომიურადაც. ყოველნაირად ავიწროებდა და დამაბრკოლებელ მიზეზებს ქმნიდა რათა საქართველოში არ განვითარებულყო მრეწველობა, ხოლო წინააღმდეგ რუსეთის იმპერიალიზმის სურვილისა ჩქარი ტემპით მიდიოდა ჩვენი სავაჭრო—სამრეწველო და საფინანსო მეურნეობის განვითარება და იგი საგრძნობ ეკონომიურ ძალად ხდებოდა. ამრიგად უკვე შემზადებული იყო სოსიალური და ეკონომიური ბაზისი და ფართო სარბიელი იშლებოდა ეროვნული და დემოკრატიული მოღვაწეობისათვის; რა თქმა უნდა ჯერკიდესუსტი იყო ის ძალები, რომელსაც ეროვნულ—დემოკრატიული პარტია ეყრდნობოდა მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარება მომავლისათვის ხლსაყრელ პირობებს ქმნიდა, რათა ეს ძალები გაზრდილიყო, დარაზმულიყო და გადაქცეულიყო გაბატონებულ სოს. დემოკრატიის საწინააღმდეგო ძალად.

სალი ეროვნული მოსაზრებითაც აუცილებელი იყო საქართველოში არასოსიალისტური მიმართულების პარტია. ამოძრავებულ საზოგადოებრივ ძალებს ესაჭიროებოდა შეკავშირება და ხელმძღვანელობა, რომ მისთვის გაადვილებულიყო სოსიალისტურ პარტიებთან დაპირისპირება და პოლიტიკური ბძოლა. ეროვნულ—დემოკრატიული პარტია თავის მიზნათ ისახავდა მთელი ერის ინტერესებს საქართველოს ეროვნული უფლებების დაცვა, ბრძოლის მთაიარი საგანი იყო მისთვის. საქართველო რუსი-

თის თვითმყრობელობის ქვეშ დაბინავდა. დარღვეული იყო ტრაქტატი რომელიც უფლებრივ დამოკიდებულებას ამყარებდა ჩვენსა და რუსეთს შორის. ჩვენ ვიდგით რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე და მოვიტხოვდით საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას, მის პოლიტიკურ ავტონომიას, ჩვენი საზოგადო მიზანი კი იყო საქართველოს სრული განთავისუფლება რუსეთისაგან და მისი დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოთ ქცევა. ამისათვის კი საჭირო იყო ხელსაყრელი მომენტისა და პირობების გამოყენება.

ჩვენს პოლიტიკურ გეგმაში შედიოდა აგრეთვე თავისუფალ საქართველოში დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება და უფლებრივ სახელმწიფოს დაფუძნება დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტს უნდა მოყოლოდა ხალხის, დემოკრატიის თავისუფლება მისი ნება, სურვილის გამომხატველი საკანონმდებლო ორგანო სადაც ერის წარმომადგენლებს უნდა ებჯოთ და განეგათ ქვეყანა უმრავლესობის დემოკრატიის ინტერესების მიხედვით დემოკრატიული და პარლამენტარული კანონმდებლობა, აი რა იყო ჩვენი მეორე მიზანი. სხვა პოლიტიკური მართვა—გამგებობის ფორმა ჩვენთვის მიუღებელი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის ფუძეთ მიგვაჩნდა ჩვენი ეკონომიური განვითარება და წარმატება, მთელი ჩვენი ყურადღება მიმართული იქმნა ეროვნულ მრეწველობის შექმნისაკენ ეს კი მოითხოვდა არა კლასთა ბრძოლის თეორიის გაღვივებას და დასვენს არამედ მუშათა და მწარმოებელთა სოლიდარული თანმშრობლობას ეროვნული დოვლათის შესაქმნელად. მაშასადამე ჩვენ მივიღეთ ი. ჯავახიძის შემკვიდრებობა, ახალი პირობების და გარემოების გათვალისწინებით. ჩვენ ვიცოდით რომ ჩვენი გზა იქნებოდა მეტად ძნელი სავალი; ჩვენ გვიხდებოდა გაბატონებულ მენშევიკურ პარტიასთან დაპირისპირება და ბრძოლა, მაგრამ გადალახულ იქმნა ყველა სიძნელე. ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში ღირსეულად ატარა ეროვნული დროშა. რევოლუციამდე, რევოლუციის ხანაში, დამოუკიდებლობის დროს, ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ და დღეს ეროვნულ გამანათვისებელი ბრძოლისა იგი ერის ინტერესების დამსველი იყო და არის.

დღეს ეროვნულ—დემოკრატიული პარტია დამოუკიდებელი გზით მიდის თავისი ეროვნული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ეს იწვევს გულის წყრომას და სიფიძსებს მენშევიკურ ბანაკში, არ ერიდება არავითარ საშუალებას ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ ეს არ გვალეღვებს. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული ჩვენი პლანიზაციის სისწორეში და სიმართლეში. ძირეულად შეიცვალა ქართველი ერის განწყობილება. თუ ის წინეთ სოციალისტური ბურჟუაზი იყო გარემოებული, დღეს იგი გამოფხიზლე ბულია და ეროვნულ გზაზეა შემდგარი. ეს გარემოებება რომ უკარგავს მენშევიკურ პარტიას სულიერ სიმშვიდეს და პოლიტიკურ წინასწორობას. ის ყალბი ეროვნულ მარტისა და დამოუკიდებლობის ღონეულებით სსდილობს თავის ვიწრო პარტიული ზრახვების დაფარვას, მაგრამ სოციალ—დემოკრატიულმა პარტიამ უნდა საბო



ლოვოდ გაივას და მიხვთეს. რომ ამ გზით იგი ქართველ ერს ველარ დაიყოლიებს და მენშევიზმის რესტარვაციას ველარ შესძლებს. მისი ისტორიული მისია დასრულე ბულია. ქართული სინამდვილის მიერ უარყოფილია. დღეს მთელი ერი ეროვნული გზით მიემართება ეროვნულ—დემოკრატიული პარტიის წინმძღოლობით დამოუკი დებლობის მოსაპოვებლად.

სოციალ—დემოკრატებს ხანგძლივად საკმაო ნდობა ჰქონდათ, ქართველი ხა ლხის უმრავლესობის, მაგრამ მათ ეს ნდობა ვერ გამართლეს; ეს ნდობა ბოროტად გამოიყენეს და ყველაფერი მოიმოქმედეს თითქოს განძრავს ჩვენი ერის დასაღუპავად და რა გასაკვირვია რომ დღეს მას ყველა გადაუდგა. ათეული წელიწადია მას ნ. ეორდანია და მისი პარტია მესაჭეობს ქართულ საზოგადოებრივობას და უკანასკნელ ხანებში ეროვნულ პოლიტიკას. ათეული წლები გძელდება ერის დამღუპველი მო ღვაწობა. მარცხისა და უბედურობის მეტი არაფელი მთუტანიათ ქართველი ხალ ხისათვის, ჩვენი ეროვნული თაობის მოვალეობაა საზღვარი დაუდვას მენშევიკების ბატონობას საქართველოში.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია იმ თავითვე წინ აღუდგა მენშევიზმის სიტყვასა და საქმეს და დღემდისაც არ შეუწყვეტია მასთან ეს სისტემატიური ბრძო ლა და ვერც შეწყვეტს მანამ, სანამ ბოლოს არ მოუღებს მის ჰეგემონიას საქართვე ლოში.

ჩვენ ახალგაზრდა ნაციონალისტები ყოველთვის ვიყავით ამ ბრძოლაში ერო- ვნულ—დემოკრატიულ პარტიასთან და ესლაც მასთან ვიქნებით. პირიქით, ამიერი- დან ჩვენ უფრო აქტიური და დაუზოგველი ვიქნებით, ორგანიზაციულად დაღლილ და მორალურ იდეურად გაზრწნილ მენშევიკურ პარტიის მიმართ.

ჩვენ მთავარ მიზანს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისე ვერ მივხვებით თუ მენშევიზმი არ გავანადგურეთ. წარსულში ჩვენ საკმაოდ დიდი მსხვე რპლი გაგვიღია ჩვენი ეროვნული იდეალების განსახორციელებლად და ესლაც გუ ლგრილი ვერ ვიქნებით მენშევიკების ყალბი და მახინჯი ეროვნული პოლიტიკის მი მართ, რომელიც დიო საფრთხეს უმზადებს ქართველი ერის მომავალს.

ს. ზირაქაძე.



ერთგზული სული.

ადამიანთა ყოველ დღიურ ცხოვრებაში ხშირია ისეთი მოვლენები და ფაქტები, რომელნიც ჩვენთვის შეუმჩნეველნი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ჩვენდა შეუმჩნეველად მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ჩვენი ყოფა—ცხოვრების ძირითად საკითხებზედ. შეუმჩნეველია აგრეთვე დედამიწის ბრუნვა და დრატა სრბოლა. ხშირად ისტორიის მსვლელობაც შეუმჩნეველია და თვით გენიოსთათვისაც იშვიათია მისი აღსახვა. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ძალიან ხშირად მხედველობას შეუმჩნეველი რჩება ჩვენს ირგვლივ საგანთა და მოვლენათა მიმდინარე ცვლილებები. ვერ ვასწრებთ შეგუებას უკვე მომხდარ ცვლილებებისადმი და ახალ კატასტროფის წინაშე ვდგებით. ცნობილია, რომ დიადი გეოლოგიური ცვლილებები თავის გავლენას ახდენენ მიწის დაუნახედ. გიგანტიური ცხოველები სამუდამოდ ჰქრებოდნენ მიტომ, რომ მათი ორგანოები ვერ ეგუებოდნენ დამყარებულ პირობებს.

ამავე კანონებს ემორჩილება და ასევე ხდება კერძო ხალხების, კერძო კლასებისა თუ სახელმწიფოების ცხოვრებაში. ასეთია საკითხის ახსნითი საფუძველი და რაც არ უნდა უარყოფითად ვუჭურებდეთ ასეთ მტკიცებას, ისტორიულ სინამდვილეში, ხშირად ის გამართლებულია, როგორც ისტორიული აუცილებლობის შედეგი. ერთ დროს ისტორიის შორეულ ხანაში არსებობდნენ ძლიერი და დაუმარსებელი სახელმწიფოები, რომელნიც შიშის ზარსა სცემდნენ მათ თანამედროვე სახელმწიფოებს და მსოფლიო ჰეგემონიც ყოფილან. დღეს კი ისტორიაში მხოლოდ და მათი სახელი იხსენიება.

საღლაა ძველი ეგვიპტე, ძველი რომი, ასურეთი, ბაბილონი, ფინიკია? ისინი დაინთქნენ ისტორიულ მსვლელობის პროცესში, მაგრამ ქართველობამ, ძველი მსოფლიოს ამ საკვირელმა რასამ დღემდე მოაღწია. მისმა ძველმა თანამედროვე ერებმა, როგორც ისტორიკოსი ამბობს თავიანთ უბედურებას ალღო ვერ აუღეს და არც საქმაო ისტორიული წინაგრძობანი აღმოაჩნდათ. ვერ გაუძლეს რთული ისტორიული პროცესების დაწოლას და მას მსხვერპლად შეეწირნენ. ჩვენს ერს უთუოდ ჰქონდა ის უნარი და თვისებები, რომელნიც აკლდა მის ზოგიერთ თანამედროვე ერებს, რაკი გადმოლახა სხვათა შთანთქმელი საუკუნეი და შერჩა ისტორიის სარძივლს. შედარებით ძლიერი და გამარჯვებული; ფიზიკურად პატარა, მაგრამ სულიერად მყარი და სიცოცხლით აღსავსე.

შეშცდარია ვინც საქართველოს მონაჰური ბებერი მუხის' ამონაყარს ადარებდს. ამ ამონაყარს გვიმრაც კი აღვილდ დაჩარდილაფდა და ის ბუჩქათ იქცეულა; არა

ის ისევ ისმუხაა და ძლიერი ქარიშხალნიც ვერარას აკლებენ. ის ჯანსაღია და მუდამ ახალგაზრდა და ამ რასის საკვირველებაც აქაა. ის ჯანსაღია სხეულით, ჯანსაღია სულით. მისი სული ათას წლევან ბრძოლაში გაიჭედა და ქირში გასალკდევდა. მისი ორი ათასი წლის ისტორიის არსებობის მანძილზე, არ არის არც ერთი მაგალითი, რომ იგი სულიერად დასემულიყო და მისი ეროვნული სული გაორებას მისცემოდეს. ის ეროვნულად ერთსულოვანი იყო, მტკიცე, ძლიერი და ურყევი, ამის წყალობითაა რომ საქართველომ დღემდის მოაღწია; ესაა თავდებიც მარადიული მსოფლმყვლობისა და მომავლი გამარჯვების. სულით დასემული და დამონავებული ერი, უსიძოტოა და თავის მეობას მოკლებულია, მას არ აქვს უნარი წინააღმდეგობის გაწევისა და თავის დაცვის და ამიტომ სხვის სამსხვერპლოდაც ხდება. სხეულით პატარა მაგრამ ნებითა და სულით ძლიერი ერი, ხშირად დიდ ერებსაც იმორჩილებდა და მათ ეროვნული კულტურის გავლენის ქვეშ აყენებდა. საქართველოს ისტორიის მანძილზე ხშირი ყოფილა ასეთი მომენტები, მაგრამ მას არას დროს არ უფიქრია სხვის ეროვნულს უმედურობაზე და თავისი პირადი ბედნიერება აეგო. ეს უცხო იყო ქართული სულისათვის და ხშირად ეს თავისებურობა, რომელსაც ჩვენ ქართულ დიდ სულოვნებას ვუწოდებთ შებრუნებულად იყო გაგებული. ამ ღირსების ადგილას მტერი ნაკლებს ხედავდა, ქართული ხასიათის სიძაბუნეს და მოდუნებას და ამით წაქეზებული მარჯვნივ და მარცხნივ თავს ესხმოდა, მაგრამ ანგარიშში მოტყუებულ მტერს ქართველის ეროვნული თავმოყვარობის შეხება ყოველთვის ძვირად უჯდებოდა. რაც მარადიულ ღირებულებად და ჭეშმარიტებად მიაჩნდა, მას ქართველი ერი ყოველთვის ღირსეულად იცავდა და ადვილად არავის უთმობდა. ბევრი ბრწყინვალე და სისხლიანი დღეებია აღბეჭდილი ჩვენი ისტორიის ფურცლებზე, აღბეჭდილი წმინდა ქართული სისხლის ასობით, მაგრამ მას ეს სისხლი, წმინდა სისხლის ნაკადები არას დროს უმნიშვნელოდ არ დაკარგვია და მოახლოებული გიდიმწყვეტი ბრძოლიდან იგი გამარჯვებული გამოსულა. ქართველი ერი მრავალჯერ ყოფილა განაწამები; მისი წმინდა სისხლით მორწყულია ქალღუ, შუა-მდინარე, კაპადოკია. შორეულ დროიდან მას უკან მოსჩხავის თვალ ბედითი შავი ყორანი, მაგრამ მას უღირსად მტრის წინაშე არც ერთხელ არ დაუხრია სისხლში განბანილი ეროვნული დროშა. ის მას ამყვდ მოაქვს დღემდე, რომელიც ოსეულ საუკუნის მანძილზე, ძლევა მოსილ მტრებს იგი მისთვის ხელიდან ვერ გაუგდევნებიათ- დიდ გრივალსა და ქარიშხალს გადაუვლია საქართველოს ზურგზე, მაგრამ საქართველოს გადაუტანია. არა ერთხელ ყოფილა ის ურჯულთა მიერ ქარცეცხლში გახვეული, მაგრამ ისე, როგორც ბიბლიის უწევაე ჩიჩაკვი სათვის, ქართული სულისათვის ვერაფერი უვნია. ვინ არ იცის სხვა-დასხვა ველურ ურდობის შემოსევა ქართველ ხალხისა და სულის დასამონებლად, მაგრამ ვერ დაიმანეს ის. ჩვენი ისტორიის ფურცლები აღსავსეა ამ უჩვეულო ვაჟკაცურ ბრძოლათა



ჯაჭვის აღწერით. ვინ არ იცის თამარ მეფის ბრძოლები სამუსულმანო აღმოსავლეთთან ჭეშარიტად საარაკო და განსასუფრეებელი მისი გამარჯვება და საქართველოს ძლიერება! ჭეშარიტად ეს ხანა იყო მისი ფიზიკური და სულიერი სიძლიერის გამო მხატველი. ამ ხანამ მისცა საქართველოს მისი სულისა და ნების ძლიერი გამოხატულება. ამავე ხანამ მოგვსა მისი გენია, უკვდავი შოთა რუსთველი თავის ვეფხისტყაოსანით, რომელიც უდავო გამოხატულება და შედეგია ქართული სულისა და აზროვნების გენიალურ შემოქმედების. ამ ხანამაც განვლო მის მიმდევრო საუკუნოებშიაც საქართველოს ერთგულ სხოვრებაში არა ერთხელ დამდგარა ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მაგრამ მას დაუძლეველი ვაჟკაცური სიმამაცითა და არა ჩვეულებრივი სულიერი ძლიერების ალტკინებით. ბევრი კრიტიკული წუთი ყოფილა ჩვენი ერის სხოვრებაში მაგრამ ის მას გადუტანია და გზა-ჯვარედინზედ არას დროს არ დაბნეულა. არა ერთხელ ყოფილა ის ჯოჯოთა და ავსულთა ქაოსის ლაბირინტში გახვეული, მაგრამ რალამ იდუმალი ძალის წყალობით ერთგული სიმამაცით უსამაცლია და დღემდის მოუღწევია. დღეს ქაოსისა და ვანდალიზმის ხანამ განვლო: გარემოებანი ისვალნენ და ხალხებს სულ სხვა პირობებში უნდებათ სხოვრება და თავიანთ ერთგული სახელმწიფოების შენება. ერთგულ კანიბალიზმს საზღვარი დაედო და მეოცე საუკუნის გარიერაჟზედ კარები ფართოდ გაეღო ოთხმომცდა—სხრა წლის სახელგან კატეზიზმს. დღეს პატარა ერები, ისტორიულად სულ სხვა ორბიტრაში მოქცნენ თავიანთ ერთგულ სახელმწიფოებრივ გზათა სავალად. ბევრი შეუდგა დამოუკიდებელ განიერ ერთგულ სახელმწიფოებრივ შენებას სიფრთხილით, ისტორიულად გამართლებულსა და ისტორიულ კანონ შეზომილებათა დაცვით. ვაი იმ ერს, რომელიც მის ისტორიულ გზას ასცდა და ერთგულ თვითშემეცნების წარმეცნელ იდეათა მსახურად გაზდა. ამ შემთხვევაში ორში ერთია: ერმა ან ისტორიული ნაცადი გზით უნდა იაროს ანდა ერთგულ ტრადიციას თავს ვერ დააღწევს. ერთგულ იდეათა უარმყოფლობამ მდგომარეობით ისარგებლეს და საქართველოს თავს მოახვიეს ის, რაც ერთგულად მიუღებელი და მისი სულისთვის უსხო იყო. ის ააცდინეს თავის ერთგულ გზას: რამაც საქართველო მოულოდნელ კატასტროფაში გადაიხეხა. დღეს ის სხეულ დასერილი, სულით გატანჯული, კვლავ მოუსვენრობისა და ბრძოლის ქარცეცხლში გახვიეს.

ისტორიაში არსებობს კანონ შეზომილება. არსებობს აგრეთვე ჭკრეთ წოდებული «მიბაძელობის კანონები» ჭეშმარიტებისა და არსებულისადმი და არა უნია დავა კიპოტეტორ სწავლა თეორიებისადმი, როგორც ეს

ფილოსოფიის აპოლოგეტებს მოსდით. ამ საყოველთაოდ აღიარებულ საკაცობრიო ჭეშმარიტებათა მესაფლავებებმა ყოველივე ეს ერთი ხელის დაკვრით უარყვეს და მით

მთველივე გამანასხარავეს ერისა და ისტორიას. ამან დაღუპა საქართველო ამან დაღუპა და დაანგრია მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფო რუსეთი. ეს უკანასკნელი ეკონომი ურად განადგურდა, მორალურად დაეცა, რაც შედეგია ბოლშევიკი—მარქსისტების ეკონომიკისა და მორალის. ამ ვეებერთელა ქვეყნის პოლიტიკურსა და ეკონომიურს რევოლიუციას არ შეიძლებოდა თავის გავლენა არ მოეხდინა ევროპის პოლიკურ, ეკონომიურ ცხოვრებასა და მის წინასწორთაზედ—გავლენა დამშლელი და დამარღვეველი. ასეთია შედეგი მარქსისტული ექპერიმენტების, რომელიც რეალური ცხოვრებისათვის გამოუსადეგარი და მიუღებელი აღმოჩნდა. ის როგორც ბოროტების მცენარე მოედო გაბოზიერებულს მიწაზედ კეთილშობილ მცენარეთა შორის. არც საქართველოში იყო ძნელი მისი გადმონერგვა რაც უფრო უადვილდებოდა, რუს—მარქსისტების მოწაფეთა ქართველ მოწაფეებს, რომლებმაც თავიანთი მისია ჩინებულად შეასრულეს. მათმა ოცდა ათი წლის მოღვაწეობამ საქართველოში, ნაყოფი გამოიღო და თავის უმაღლეს აბოგეიას 18—20 წლებში მიაღწია სახელმწიფო ძალა უფლების ხელში ჩაგდებათ. აქედან იწყება მათი გააფრთხებული ანტიეროვნულ სახელმწიფო ბრივი მოღვაწეობა, მაგრამ ის უღლეური აღმოჩნდა და იქვე იწყება მისი აგონია მას ბუნებრივი სიკვდილი არ დასალდა, რაც აუცილებელი იყო ისე, როგორც სიკვდილი უღლეურ ბავშვისათვის. მის ნანგვრევებზედ ბუნებრივად ეროვნული სახელმწიფო უნდა აღმოცენებულყო მტკიცე და საღ ეროვნულ სახელმწიფოებრივ საფუძველზედ დაფუძნებული, ეროვნული სიტყვით, საქმიითა და მის გარდაუალ ჭეშმარიტებათა დასვით. ეს პროტესტი თავის ისტორიული გზით მიიმართებოდა შეუჩერებლო და ვერავითარი შინაგანი წინააღმდეგობანი მას წინ ვერ აღუდგებოდნენ. ეს შეუჩერებელი პროტესტი, პროტესტი ეროვნულ ძალთა დი იდეათა ზრდის, რომლის წინაშე მენშევიზმი უძლეური იყო, არ შეიძლებოდა შემჩნეველი დარჩენილიყო ბოლშევიკებისათვის და ძალზედ დააჩქარეს მენშევიზმის ლიკვიდაცია.

ბოლშევიზმი ისე, როგორც მენშევიზმი, საქართველოში ყოველგვარ იდეურ ნიადაგსა და საფუძველს მოკლებული, დამარცხებული იყო და მათი ფიქრი საქართველოზე უიმიდო ოცნება იყო. მენშევიზმი იდეურად გაკოტრებული ვერც ფიზიკურად შესძლებდა თავის მდგომარეობის შენარჩუნებას. სხვა მესამე ძალა არ არსებობდა მათ დასაცავად, ხოლო ქართველ ბოლშევიკებმა კი მესამე გარეშე უნეში ძალის დახმარებით დაეკვიდრეს სასუფეველი საქართველოში და მათ საქართველო ამ ძალის მხვერპლად განადეს. საქართველო, რომ ეროვნული სახელმწიფო ყოფილიყო, ბოლშევიკებს მასთან ბრძოლა ძალზედ გაუჭირდებოდათ, ანდა შესაძლებელია ასეთი რამ სრულიადაც არ მომხდარიყო და დღეს ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი და თავისუფალი იქმნებოდა, მაგრამ მენშევიზმი ხიდად გაედობოლშევიზმის ქურქში გახვეულ ველ



იკორუსულ იმპერიალიზმის სულით გაჟღენთილ მებაირახტრეებს და ერთვულ ცხა
 რების, სამზადის შემდგარი ქართველი ვრი უსწორთ ბრძოლაში დასტეს. მ ე ნ შ ე
 ვ ი ზ მ ი ს ტ რ ა დ ი ზ მ ი ს ა ქ ა რ თ ე ლ ო შ ი მ მ ს ი დ ე უ რ გ ა კ ო ტ
 რ ე ბ ი დ ა ნ დ ა ი წ ყ ო , რ ა ს ა ს ბ უ ნ ე ბ რ ი ე ა დ , მ ი ს ი , რ ო გ ო რ ს ს ა
 ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ა რ თ ე ლ ი ძ ა ლ ი ს დ ა მ ა რ ს ხ ე ბ ა ს თ ა ნ უ ნ დ ა
 მ ო ჰ ყ ო ლ ო დ ა , რ ა დ გ ა ნ ე ს უ კ ა ნ ა ს კ ე ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს .
 საუბე
 დუროდ ეს ასე არ მოხდა, პირველს, მეორემ დაასწრო და მათი აგონია, გარეშე ძა
 ლის ჩარევამ სამარცხენო სიკვდილით დაამთავრა. ბოლშევიზმმა, მენშევიზმი და
 მარცხა და ამ ორ მარქსისტა შორის ბრძოლამ საქართველოც შეიწირა. მენშევიკუ
 რმა სახელმწიფომ სამი კვირის ბრძოლას ვერ გაუძლო და მით ისტორიაში სამა
 რცხენო ბოძვედ გაიკრა თავი, ეს არის პირველი სამარცხენო ფურცელი, რომე
 ლიც ქართულ მატიაეში ჟორდანიამ ჩასწერა.

მენშევიზმი ინტერნაციონალურ, იდეათა დროშით შემოიჭრა საქართველოში.
 ის მისგან სულიერ და მატერიალურ გაკოტრებას მოითხოვდა, რაც სისრულეში მათ
 მეგვიდრეებს მოჰყავთ. მაგრამ არსებობს საკუთრებათა ზოგიერთი ისეთი კატეგორიები,
 რომელთა ჩამორთმევა და განსაზოვადოებრივება ყოველგვარი მენშევიზმისა
 და ბოლშევიზმის ძალებს აღემატება. ასეთი ერთ ერთ კატეგორიათაგანია ის, რასაც
 სწორედ «სულიერია» ეწოდება. თანამედროვე კულტურულ სახელმწიფოთა ისტორია
 გვიმტკიცებს, რომ საზოგადოებრივი აზრი და შეხედულება ერთ ერთი ძლიერი გა
 მოხატულებათაგანია ხალხის სულიერ ძალის, მისი ზნეობისა და გრძნობათა. იგი სა
 ხელმწიფოებრივი ცხოვრების ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია.
 იგი ასე ვსთქვათ ერთდაგვარ ინსტანციას წარმოადგენს ძალა-უფლების მატარებელთა
 და ხალხთა შორის. ძალა-უფლება მაშინაა ძლიერი და გავლენიანი, როდესაც ის რეალ
 პოლიტიკურ ძალისა და ავტორიტეტის მატარებელია. ასეთი რეალი პოლიტიკური
 ძალა და ავტორიტეტი საზოგადოებრივი აზრია, როგორც ერთვული სულისა და ზრა
 ნვათა ნამდვილი მატარებელი. მაგრამ არა ერთხელ გამოთქმულ ქართულ საზოგადო
 ებრივ აზრსა და ავტორიტეტს, მენშევიკები ან ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ, ან სრულ
 იად არაფითარს. მენშევიკებს სხვანაირად არც შეეძლოთ მოქცეულიყვნენ. თუ კი ისინი
 საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ მაშინ მარქსის სახარებით
 ფონს ვერ გავიდოდნენ—რაც თავის თავზედ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა იქნე



ბოდა, ხოლო თუ კი მასზედ ხელს აიღებდნენ, საზოგადოებრივ აზრსა და განაჩენს ვერსად გაექცეოდნენ.

შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრი იშვიათად ერკვეოდეს დიპლომატიური საქმიანობის ლაბირინტში და მის კანცელიარულ ბრძოლის პერიპეტეებში, მაგრამ მას სრული შეგნება და უნარი აქვს ეროვნული ინტერესებისა, რომ საერთაშორისო სამართლიანობის საფუძვლებზედ დამყარებულმა, თავისი განაჩენი გამოიტანოს. ეს ასეც ხდება როდესაც ღია და აშკარა პოლიტიკას ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი და იგი მისთვის ხელმისაწვდომია. ქართული საზოგადოებრივი აზრი ფაქტიურ სარჩულს მოკლებული იყო იქ, სადაც ჩვენი ძალა უფლების მესვეურნი საქმის საიდუმლო მსვლელობას აწარმოებდნენ. მაგრამ ამ საიდუმლოების ქურჭი მეტად თხელი აღმოჩნდა; იგი გასქდა და მასში მოთავსებული ფაქტები საზოგადოების «ავლად» იქცა. მენშევიკური დიპლომატიის საიდუმლო პოლიტიკის ერთ ერთი სამარცხვინო ნიმუშთა განია, ბოლშევიკებთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულების ერთ ერთი მუხლთა განი, რითაც ბოლშევიკებმა აგრე უზვათ ისარგებლეს და თვით საქართველოს წინააღმდეგ საუკეთესო იარაღად გამოიყენეს. ეს იყო მენშევიკური დიპლომატიის გონების სიმახვილე და შედეგრი. მათ ასეთ «საგანგებო» საშინაო თუ საგარეო მოღვაწეობას კარგა ხანია ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა თავისი ვერდიქტი გამოუტანა, რომელიც მენშევიკებს ჯერ კიდევ ვერ უგვრძენიათ.

მენშევიკში მთელი თავისი არსებით ეროვნულ აზრსა და შეგნებას დაუპირდაპირდა. თავისი მოღვაწეობა ეროვნული სულისა და იდეათა უარყოფით დაიწვეს. მისი ალვიძებისა და გაღრმავების მაგიერ მის საწინააღმდეგო პროპაგანდასა და ინტერნაციონალურ იდეათა ქადაგებას შეაღიეს მთელი თავისი მოღვაწეობის დრო და მათი ბატონობის უკანასკნელი სამი წელიწადი. ერის ეკონომიური ცხოვრების სოციალისტურ ეკონომიკის «საფუძვლებზედ» აგებას მდილობდნენ. ფინანსები არ არსებობდა. ჯარზედ—სამხედრო ძლიერებაზედ ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. არ არის არც ერთი საკითხი, რომ თავიანთ ხანმოკლე მოღვაწეობის ხანაში მათ ყირამალა არ დაეყენებინათ შეიძლება აქ ვინმემ იფიქროს, რომ მათი ხანმოკლე ბატონობის ხანაში მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. მაგრამ მათი ნამოქმედარის შეფასების შემდეგ განა ვისმეს იჭვი უნდა ეპარებოდეს, რომ ღირსშესანიშნავ რამეს გააკეთებდნენ? არა, აქ საქმე ხან მოკლეობასა და გაკეთებაზედ კი არ არის, არამედ, როდესაც სსახელმწიფოთრ განიზაცისსუნებასიწყებენისნაცადმტკიცედასახელმწიფოებრივსაფუძვლებზედ უნდა შენდებოდეს, ეროვნულსჩარხებში, მისიერონული სულისა და ბუ



ნ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ . ასეთ პირობებში მუშაობა და მოქმედება ნაყოფიერი და დიდ შედეგიანი იქნებოდა, მიუხედავთ ხანმოკლეობისა და დაბრკალებათა. ეს ასე უნდა ყოფილიყო განსაკუთრებით ისეთ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ასი წლის განმავლობაში თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და გამოცდილება არა ჰქონია. ასეთი პასუხისმგებლობა, ერის სიყვარულითა და მის სასიცოცხლო საჭიროებათა შეგნებით გამოწვეული, მენშევიზმისათვის უსხო იყო. ისინი სულ სხვა იდეითა და სულისკვეთებით ცხოვრობდნენ. მათ სულ სხვა ტკივილები აწუხებდათ და დღესაც მიუხედავთ იმისა, რომ საქართველოს სისხლით «განიბანეს» იმ ტკივილების წამლობაში არიან გართულნი. მენშევიკები თავის სახელმწიფო მოღვაწეობის დროს ეროვნული ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ეროვნულ ინტერესებს პარტიული დაუპირდაპირეს და ამ ვიწრო და უვარგისი საზომით იზომებოდა ყოველივე—ეროვნული და საზოგადოებრივი. მენშევიკებმა თავიანთი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ეროვნული იდეათა დამარცხების სულსკვეთებით დაიწყეს და მათი მოღვაწეობაც დამარცხებით უნდა დამთავრებულიყო. ამას გვეუბნებოდა სინამდვილე და თვით შინაგანი ძალთა განწყობილებაც. მაგრამ ერს სპათ და ატყდა საშინელი ტრალედია. მათ იდეოლოგიურად მოძმე ბოლშევიკ მარქსისტებს გზახსნილი ჰქონდათ და გვარდიის «სამხედრო ძღვევამოსილებაც» მათ გზახს უხსნიდა. იმავე რუსეთში მარქსის მოწაფის ლენინის ქართველი მოწაფეები პლენანოვის ქართველ მოწაფეებს დაუპირდაპირდნენ და დიდი ხნის ნანატრი აუსრულეს—ქართველი «პროლეტარიატი» განუყრელად დაუკავშირეს რუსეთისას და მათ მთელი ერის ინტერესები შეიწირეს. იმავე მდგომარეობაში, რომ მენშევიკ მარქსისტები ყოფილიყვნენ რუსეთში, ბოლო ბოლშევიკ მარქსისტები კი საქართველოში, ისევე მოიქცეოდნენ პირველნი როგორც მეორენი მოიქცნენ, ეს მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე «ბურჟუაზიის ტყვეობაში მყოფ პროლეტარიატის განთავისუფლება».

მენშევიკ ბოლშევიკებთან დავა ზედმეტი და უნაყოფოა, ისინი სულ სხვა ჯიშისა და წარმოშობის არიან. მათი განებრივი მექანიზმი სულ სხვა «წყობისაა» ვიდრე ჩვეულებრივ მომაკვდავთა და ნააზრევიც უჩვეულო, უჩვეულო ჭეშმარიტების შემცვლელი. ამ ხალხს ერთი უნივერსალური დიაგნოზი აქვთ; მოაზროვნე კაცობრიობის მთელი შეტდომები მდგომარეობს ან უტოლინრობაში ან ერთად ერთ მხსნელ «მარქსისტული ჭეშმარიტების» გაუგებრობაში. რაკი დიაგნოზი უნივერსალურია, მაშინ ყველა ავადმყოფობისათვის წამალიც უნივერსალურია. მიიღეთ მარქსისტული ჭეშმარიტება—ხსნასაც მიიღებთ და ყოველგვარ ტრალედიასაც თავს დააღწევთ. ეს კი ზედ მი

წინით წაავას მოლიერის იმ ექიმს, რომელმაც ყველა ავადმყოფობის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთი უნივერსალური წამალი იცოდა. ქართველმა ხალხმა ეს მარქსისტული ქეშმარიტება სცადა. სინამდვილეში მათ მიერ ნაქადაგები სამოთხე გაჯოჯოხეთდა და თავი ვერც ერთენულ ტრადიციას დავაღწიეთ. მრავალ ხნით ნატანჯი ერი მოტყუებული დარჩა და იგი სახელმწიფო დამარცხებამდე მიიყვანა. მათ მიერ აღებულმა გზამკვლეულმა უდიდესი კატასტროფა შეამთხვია. მათ მიერ «გასასამოთხებელი» გზები საუკეთესო აღმოჩნდა სხვა სამოსელით მორთულ მარქსისტების, ბოლშევიკების საქართველოში შემოსაყენად. მაგრამ ჩვენი მენშევიკები სინიღისის ქვეყნასაც კი არ განიძლიან და კვლავ მენშევიკური საქართველოს «გვირგვინად» ოსნებობენ. ოსნება ხომ ადამიანის გონების ერთ-ერთი თვისებათაგანია და მისი უფლებაც ყველას აქვს. ხოლო ვინც ოსნებით არ სხრდობს და სინამდვილეს საღი თვალებითა და გონებით უყურებს, მისთვის აშკარაა, რომ მენშევიკების რესტავრაცია უიმედო ოსნებაა. საქართველო და მენშევიკი სამუდამოთ გაიმიჯნა და გარდაუვალა ზღვარი დაიდო მათ შორის, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ გადალახავს.

ასწლოვანი ისტორიის მანძილზედ ნაბრძოლი, სულიერად და ფიზიკურად გატანჯული, განაწამების ვეზუვისებური გული, მზად იყო აღმოხეთქისათვის, განახლებისა და წმინდა იდეათა შეუდრეკლათსამსახურისათვის. ის იწვოდა ქეშმარიტების ძიებათა მწველ სეცხლით, როგორც ლამპარი მის ერთენულს საქურთვეულში ახალ მხვრებისათვის. ახალი სიტოცხლისათვის. თაობიდან თაობამდე ერის შეხუთულმა სულმა არაჩვეულებრივ სიძლიერით აღმოხეთქა, როგორც ვულკანი თავის ლავიდან ჯოჯოთა და ავსულთა სამსხვერპლოთ შესაწირავად. უსაზღვრო ოყო ერთენული სულია და აღტკინებულ გრძობათა ძალა და გაქანება, რომელიც საზღვარსა და ფორმას საჭიროებდა. მაგრამ სამშობლოს მამები არ აღმოაჩნდნენ და მას მამინაცვლები დაეპატონნენ. იგი აღმოჩნდა ლევიათანად მოტურავეთა მდგომარეობაში საჭე მოგლეჯილ და იალქან დამსხვრეულ ხომალდში, რომელიც ტალღათა დენით სულ სხვა სივრცეში აღმოჩნდა. ქართველ ხალხსაწი ამგვებით ვერავინ ამგზავრებს. იგი მისთვის დაუვიწყარი იცნება, როგორც სიმბოლო დალოუპისა და მისაუტანელ ტანჯვათა მიმნიჭებელი.

ბეოტიის კოლდოვან გამოქვაბულში— ამბობს ლე-ბონი ოდუნდაც სსხოვრობდა საკვირაველი არსება, რომელიც გამვლელთამოსანას აძლევდა და სუამდაიშას, ვინც მას ვერც მოიცილებდა. ეს სიმბოლიური თქმულებანათლოთ გამოხატავს საიენდისწერო დილემას დალოუპიან სიტოცხლედ. არა ერთხელ დასმულა ის ხალხთა ისტორიის კრიტიკულ წუთებში. ის საქართველოს წინაშეც დაისევა, მაგრამ მენშევიკურმა საქართველომ ვერ შესძლო ეპასუხა სფიქსისათვის. მათ მოღვაწეობას ისტორია შესაფერისად. შეაფასებს დათავის



განაჩენს გამოუტანს რომელსაც მომავალი თაობა—ქართული ისტორიის, მენშევიზმის მოღვაწეობის ეპოქის-მწარე სტრიქონებს, სრულმომორეული და სევდიანი ამოთხერით ამოიკითხავს.

საქართველო დღეს უცხო ძალისხელშია. მაგრამ ქართველი ერი, მისი ბუნება და სული მიუხედავად იმისა, რომ ის ფიზიკურად დაპყრობილი, იმდენად ის სულიერად ძლიერი და დაუპყრობელია. ათეულ წლებში გატანჯული, განაწამები ქართული სული მუდამ შეუდრეკელი და მეტრძოლი იყო. არა ერთხელ დაათასჯერ შენაბრძოლები, ყოველთვის მიუწვდომელ, მიუვალ და ურყევ კოშკად რჩებოდა. მასთან მრძოლაში ყველა უძლური გამოდგა, კიდევ უფრო შეუდრეკელი და ძლიერი იის დღეს—ჯანღვასა და ბრძოლაში—და როგორც ყოველთვის ის დღესაც იწვის მწველ ძიებათა ცეცხლით დაფერფლილ ქეშმარიტებათა ძიებაში, ასევე იწვავდა ის თავის ორი ათას წლოვან სახელმწიფოებრივ ისტორიის-მანძილზედ, მის წმინდათა წმინდის განახლება და აღორძინებისათვის. ის იყო ცეცხლი, რომელიც ჩვენს კერაში შეიძლება მიმქრალი, მაგრამ ყოველთვის ჩაუქრბელი დვიოდა, რომელსაც ერი აღვიბდა, ასეცხლებდა და აჩირადნებდა საერთო გზათა სანათობელდ. ეოვნული სული, ეროვნული იდეა—აი ჩვენი ისტორიის მთავარი მამოძრავებელი სტიმული, რომელიც ყოველთვის ძლიერი და უჩვეულო სიცოცხლით ცოცხლობდა ჩვენში, აი ურყევი ქეშმარიტება—ღირებულება მარადიული; რომლის წინააღმდეგ ეამი უძლურია, ეს არის მარცვადი ეროვნულ ქეშმარიტებისა და რაკინდ ძლიერი არ იყოს მისი აღმოცენების, გაშლა გაფურჩქენის დაღიშავის ცდა—ისმანც უძლური იქნება მის წინაშე. ის აღმოცენდება, როგორც ფენიქსი თავის ფერფლიდან აღმოცენდება ახალ ფორმებში აცეცხლილ მწველ ძიებათაგან დაფერფლილი, განახლებული გაღრმავებული, მის საეალ გზათა მუდმივ სანათობელად.

ვ. შ—ძე.



რა შიგან ვართ?

ინ. «სამშობლოს» 5—6

საქართველ ოს პოლიტიკურ გუნს ემიგრაციათა თაგისუფლად ააშკარაგებხ: დიდ გზებში ეს გეზი ორადაა დაარაზმული: სოსილისტურ—სენარისტული გეზი და ერთგუნულ—დემოკრატიული გეზი; პირველის მატარებელი და გამომხატველია ნ. ჟორდანიას—რამიშვილის მენშევიკური ჯგუფი, საქ. სოს. დემ. პ. სახელით; მეორესი-კი, საქ. ერთგუნ. დემ. პარტია მთლიანად. აქარ გვავინტერესებს თუ რომელი პარტია უფრო სწორად გამოხატავს თავის მისიას ან, ერის სურვილებს. საინტერესოა ფაქტები. მენშევიკური გეზი ასეთია: საერთოპოლიტიკით ის ყველაზედ უფრო ახლო ბოლშევიზმთან დგას. 1917წ. 25 ოკტომბერს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დემ. პუტ აღმ-კომიტეტში ნ. ჟორდანიამ განაცხადა: «ბოლშევიკების როგორც გამარჯვება, ისე, დამარცხება შედეგად კონტრ.—რევილუციის გამარჯვებას მოქვეყნებს. «ამიტომ, ბოლშევიკურ ოკუპაციასთან ბრძოლაში, მენშევიკური ჯგუფი ძალიან ფრთხილია, უკან მიუხედელი, რომ კონტრ.—რევილუციამ არ გაიმარჯვოს. ჩვენ ხელთა გვაქვს ეს საბუთები მენშევიკ მეთაურთა შეთანხმებით და მოთათბირებით დაწერილი; ეს არის 1927წ. ივნისში გამოქვეყნებული წერილები, სადაც ნ. ჟორდანიას ხელთა შორის სწერს; რაც მე გამომრჩება. რამიშვილი შეასრულებს.»; კიდევ «დანარჩენს ნოე. გეტყვითო» იგიულისხმება რამიშვილი. თავის მხრივ ნ. რამიშვილიც სწერს: «ნ. ჟორდანიას წერილს უნდა დაემატოს შემდეგი... აქედან ცხადია, რომ ორივე დოკუმენტი ერთისაზრისა და მოსაწონ. ბელადთა შეთანხმებითა დაწერილი, ამიტომ ჩვენ მას ერთდოკუმენტად ვთვლით. ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ მენშევიკურ პარტიას შეეძლო საჯაროთ ეთქვა თუ იგი არ იზიარებდა დოკუმენტის დედააზრსა და მან ამაზედ არაფერი სთქვა. ი. თავისი სიჩუმით საზოგადოების თვალში, საჯაროდ მიიღო და გაინაწილა მისი შინაარსი. ამიტომ ჩვენ ამ დოკუმენტს მენშევიკურ დოკუმენტს ვუწოდებთ და უფლება გვაქვს ვიფიქროდ, რომ მისი შინაარსი საერთოდ მენშევიკთა სულისკვეთებას გამოხატავს. მაგრამ რისთვის? ამაზედ პასუხს იძლევა ნ. ჟორდანიას მოხდა—ჰეგემონიის ხელში ჩასაგდება; მაგრამ ამაზედ მენშევიკური დოკუმენტიც ლაპარაკობს: «დრთებითმა მთავრობამ, რომლის თავჯდომარე უცილებლად ჩვენნი იგიულისხმება ს. დ. პ. პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს, უნდა განაცხადოს თავიდანვე, რომ ერის წარმომადგენელია უსწოთში გახიზნული ნ. ჟორდანიას მთავრობა და რომ დრ. მმართველობას მაშინვე გადადგება რაცა საქართველოს ტერიტორიაზედ გამოჩდება ეს მთავრობა ან მისი რომელიმე წევრი» — დოკუმენტი აგრეთვე იძლევა დირექტივას, რომ მოახდინონ საიდუმლო აღწერა საიმედო და არა საიმედო ირთა. ამონაწერიდან ცხადია დოკუმენტის საბოლოო მიზანი ეს არის სრული რესტავრაცია—მენშევიზმისა, სამოქალაქო ომის ენით. განსაკუთრებით ერთგუნულ—დემოკრატიულ ელემენტთა ადვირით საქარ



თველს ტერიტორიიდან; ეს ყველაფერი უნდა მოხდეს «ყველა ანტიბოლშევიკურ ელემენტების მოხმარებით».

ხოლო უკანასკნელი ამონაწერის სამი უკანასკნელი სატყვეა «ან მისი რომელიმე წევრი» — გვაფიქრებინებს რომ მენშევიკთა ხელმძღვანელობაში შეწყნარებულია ის აზრი რომ მთავრობის ერთი წევრიც, რომ თბილისში ჩავიდნი მთელი ძალა-უფლება უნდა გადაეცეს ხოლოთ თუ მას ზედ დაუმატებთ ხსენებული დოკუმენტის კიდევ შემდეგ ადგილს: «არასოდეს არ უნდა განმეორდეს ის რაც ერთხელ მოხდა თავჯდომარე იძლევა ერთ დირექტივას, პარტიაკი წინააღმდეგ ნაბიჯა სდგამს, აქედან ყოველი გაუნეითარებელიც — კი აღვიღ ად დასაცვნის, რომ მენშევიკურ პარტიაში გაბატონებულია ერთი ძალა — გავლენა, რაკი ის ბრძანებით კილოზე უგრძალავს პარტიას, — ერთხელ ჩადენილი ურჩობა კვლავ არ განმეორდესო. ზემოდ დავინახედ, რომ მთელი მთავრობის ძალა — უფლება ერთ ან ორ პირს უნდა გადაეცეს რევოლუციონერულ ეზარისს. ყოველივე ზემო მოყვანილს რომ ლოლიკური ფორმამივსეთ გამოვა სოციალისტ — ტერორისტული ჯგუფის სურს რესტავრაცია სამოქალაქო ომით, რომ უფრო ადვილად აღგავოს საქართველოში ერთენულ — დემოკრატიული ელემენტები. ეს საქმარისია, რომ გავიგოთ, თუ რა უფსკრულია გათხრილი, ბელად მენშევიკების რწმენისა და საქციელის წყალობით, სოც. — მენშარისტულ-მიმართულებასა და საქეროვნულ-დემოკრატიას შორის; რასაკვირველია საქ. ეროვ. დემოკრატია ჩვენ მიგვაჩნია, როგორც მთლიანი ერთეული არა. მარტო ერ. დემ. პ. არამედ ყველა ეროვნულ — სახელმწიფოებრივი ელემენტებითურთ. მაგრამ ჩვენ მაინც მოვიყვან ერთად — ერთ საბუთს, თუ რა პასუხს აძლევდა საქ. ეროვ. დემოკრატია მენშევიკთა ჯგუფში... საქართველოს ერ. დემ. პარტიის მთელი საზღვარ გარეთელი ორგანიზაცია... ახადებს, რომ ვიდრე მთავრობა ამ ძველ გზას არ დასტოვებს, მასთან განუწყვეტილი ექნება ყოველგვარი თანამშრომლობა და პასუხს არ ავებს მის მოქმედებაში». მაშასადამე საქათყველს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ორი პარტია გამოდის ერთი მეორის წინააღმდეგ, რომელთაგან ერთია მენშევიკური პარტია მდევნელი, მომხდური, აგრესიული, « შეურიგებელი. მეორე კი დევნილი, ოკუპაციასთან მებრძოლი და იმავე დროს თავდასვის სასტიკ პირობებში ჩაყენებული მენშევიკების პოზიციას ჩვენ უწოდოთ განმათავისუფლებელი ბრძოლის დაღალატიანება. — სხადია

ე. ი. ს. დ. პ. როგორცსუბიექტი არა სჩანს ან ძალიან ნაკლებად; მენშევიკური პარტიკი გამოდის როგორც უბრალო მოხელეთა პარტია და არა როგორც პოლიტიკური პარტია.



რომ ამ დაღალატინებულ ლპირობებში საქართველო პოლიტიკურ შესაძლებლობაო ვერ გამოიყენებს და განთავისუფლების მომენტი ვერისარგებლებს, ყოველ შემთხვევაში გარედან მაყურებელის აზრით უნდა ითქვას, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა კარდინალურად სწვევებს კავკასიის საკითხს; მით უმეტეს თუ დავმატებთ, რომ შედარებით ქართველობა კავკასიაში თითქმის უმეტესობას წარმოადგენს და პოლიტიკურად ან ისტორიული ტრადიციით ყველაზე დაწინაურებულია. თუ ქართველობა მოკლებული დარჩება მეზობელ პარტიათა შინაურ თანხმობას და ისტორიულ მომენტში იგი დაღალატინებული აღმოჩნდება (მიზეზები, ანუ ჯანაშვილის ვინაობა აქარგაინტერესებს -, სადაც ფარულად თუ თუ ახდლიად სამოქალაქო ომი მძინვარებს იგი თავის თავს ვერ მიანდობს. ამ გვარად—სომხების ტურბულ გეზი — მანამ ის შეუწყველი და რჩება — საბედისწერო იქნება საქართველოსა და კავკასიისთვის. ბ. ნ. უორდანი და მისი დოკუმენტი ძალზედ სძდება თუ იმედებს. წითელი ჯარის ანარქიაზედ ამყარებენ. ჯარის ანარქია 1617 წ. მოხდა დამარცხებისა და აუწერელ მძიმე მასიური შემადგენლობის გამო: აგრეთვე იდი ომის ზოგადი პირობებით, რომლიდან მომავალშიც შეიძლება არს ერთი არ გამეორდეს. ამიტომ საჭირო იქნებოდა ისეთი მეზობელი ორგანიზაციის იხეთი მომზადება, რომ ნაკლებ ხელსაყრელი პირობების, სრულიად ახალი გარემოებების გამოყენებულ იქნეს ბრძოლის პროცესში. რასაკვირველია, შეიძლება სომხობას ეს- მისწრაფებების ქონდეს, რომ კავკასიის ბრძოლის ფრონტს იქეთ უყურებს დიდისაგან დიდ როლს თამაშობს ყოველ შემთხვევაში სომხების მიერ ამ პოზიციის ძიებაში განმანთავისუფლებელი ბძოლის დაღალატინება, რომელიც სწარმოებდა და სწარმოებს სხ. დახს. მეთოდებით, ფარულად თუ გამქლავებულად, წინად და ესლას-

ეს უკანასკნელიკი ასეთია: — « სომ- დემ. პარტია არის პროლეტარული და ნაციონალური ორგანიზაცია ჩვენი მთავარი მიზანია შევინახოთ ის დამ საქმეში მოვიხმაროდ ყველა ანტიბოლშევიკური ელემენტების კი, « შემდეგის ჩვენი უჩინარი და ხშირად უცნობი მოღვაწეინ, რომელნიც უმეზულნი არიან პარტიისში..... არიან დღევანდელი დროის მთავარი პარტიული და ეროვნული მოღვაწეინ. « აქედან ცხადია, რომ მენშევიკური დოკუმენტის მიხედვით, სომხების — ცნობისტულ მიმართულებას თავის მთავარ მიზნად იმ პარტიის შენახვა აქვს დასახული, რომელსაც ის თავისად რიხხამს და საჭიროდ სთვლის: დოკუმენტი ავალებს პარტიულ აგენტებს, ყველა ანტიბოლშევიკური ელემენტები თავის პარტიის შენახვას მოახმაროს: აქ, ალბად, უფრო უპარტიო და სხ. სუსტი ელემენტები იგულისხმებიან, რადგანაც ეროვნულ—დემოკრატიურ ელემენტებს იხ. დეკლარაცია და დადგენილებანი» გვ. 19.



დოკუმენტი რომ «ფაშისტებს» უწოდებს, იგი «დიდ საფრთხედ» სჯვლის—«იქონიედ სახეში, რომ ... ყველაზედ უფრო საშიში იქნებიან ფაშისტურ—რეაქციონური ელემენტებიო». და «შემდეგ: ჩვენ ახალი მტერი გავვიჩნდა, ეს არის ფაშისტთა ჯგუფის» აქ ჩამოთვლილია ყველა მეთაურები ერთნულ დემოსრატიისა და სხვა ცნობილი მებრძოლნი ერთნული თავისუფლებისათვის, სახელგანთი ქართველი მოღვაწის მიხეილ წირე თლითურ (ქ. სხადია ამ ელემენტებს, რომელთაც მენშევიკური დოკუმენტი მტრად სახავს, გამოსაყენებელ ელემენტად ვერ იგულისხმებდა, ან უმთავრესად, სახეში ვერ მიიღებდა. დოკუმენტის ამ უმთავრეს მიზანს ჩვენ ვუწოდოთ ჯგუფური ეგოიზმი რომელსაც, დოკუმენტის აზრით უნდა მოხმარდეს და შეეწიროს, მაშასადამე. «ყველი ანტიბოლშევიკური ელემენტები» 2). რა სურს ჯგუფურ ეგოიზმს? უკანასკნელის მიზან დასახულობას მენშევიკური დოკუმენტი ნათლად გვისუტრათებს: «ამათთან (ე. ი. ფაში სტებთან. იგულისხმედ საქ. ერ. დემ. პ. 16.) ბრძოლა ეხლავე უნდა დავიწყოთ და მათი მომხრე იქ. მათ წინააღმდეგ აამხედ რად. ისაღდეთ ეს ჩვენი სერიოზული საფრთხეა, ... საქართველოში ჩვენს ფრონტში მყოფი პარტიების 2) გარდა არავინ არ უნდა მუშაობდეს და არც ვინმე გააქაქანოთ. აქედან სხადია, რომ მენშევი კების მოვალეობაა საქართველოში არალეგალური მუშაობისას ებრძოლონ ბოლშევი კური ხელისუფლებასთან ერთად და იმავე დროს საქართველოს ერთნულ—დემოკრა ტიასა და პატრიოტიზმს. ე. ი. ამ უკანასკნელს ებრძვის, როგორც თუბაცია, ისე მენ შევიკობა—პირველი აშკარად და ახდლილად, მეორე კი მალულად. ამის შემდეგ დოკუ მენტი «იძლევა დირექტივებს: «თავშივე ჩაეკლათ ფაშისტურ—რეაქციონური ყოველი ევეს და. კიდევ: ვადატრიალებისას დროებითმა მართველობამ მენშევიკისათვეჯ დომარეობით, გაწმინდოს ჩვენი ტერიტორია ბოლშევიკუ და ფაშისტ ურ ელემენტებისაგან.» «მიიღეთ ზომები, რომ არც ერთი რეაქციონერი და ფა შისტი... არ გავაუჭანოთ.» «შ. ქარუმიძე, ალ. ასათიანი და კერესელიძე ბელშევიკ ურ აგენტებად არიან გამოყვანილი. აგიტაციამ რომ უფრო გასურას, დოკუმენტი ამ ბოლშ ვითომც: «ახალგაზრდათა შორის უთუოდ ბევრია ჩეკის აგენტებიო»—და სხვა ამონაწერი ააშკარავენს მენშევიკური პარტიის უახლოესს მიზანდასახულობას, რომე ლიც მდგომარეობს ერთნულ—პატრიოტულ ელემენტთა მოსპობაში საქართველოს ტერიტორიაზე, ვიგულისხმოთ, რომ ეს მხოლოდ განდევნაში გამოიხატება. ამ მიზან დასახულობას ვუწოდებთ ჩვენ სამოქალაქო ომს. მაშასადამე, მენშევიკური სულ ის კვეთება საქართველოს აწინდელ პოლიტიკურ ვითრებაში, ზამდენათაც ეს მენშე ვიკური დოკუმენტიდან მელავნდება, ეს არის სამოქალაქო ომის წარმოება.

ქ) ეს მეთოდი ცხარაზმის ისტორიაში ცნობილია: ჯერ მეთაურთა მოსპობა უჯარ ,ოდ, შემდეგ ჯარის უმეთაურთა!!

2) დოკუმენტი სთვლის აგეთებათ სახელდობრ: ს. ფედერალისტებს, გვაზაფას მომხრე თა და სხვა «უმნიშვნელოთ».



ამ დალაღიანებას უნდა ბოლო მოეღოს, თუ განმათავისუფლებელ ბრძოლას გამარჯვება უწერია. ეს კი შეიძლება მხოლოდ ერთი გზით: მწვევი კუმა პიმართულ ებამ საჯაროდ უნდა შეიცვალოს ის მიზანდასახულობა, რომელიც მენშევიკურ დოკუმენტშია გამოქვეყნებული, მთელი თავისი შედეგებით- ამით უნდა მოიშალოს განაღბი ზღუდე იმ გარანტიით თუ საექვო რესტავრაცია და სხვა დოკუმენტში ჩამოთვლილი არიან ტიპები: სენარისტულად-რევოლუციონურად ძალა-უფლებების ხელში ჩაგდება, სამოქალაქო ომი და სხ.-. ეს უნდა მოხდეს თუ მენშევიკურ პარტიას პასუხისმგებლობა არ უნდა იკისროს შესაძლებელ ახალ კატასტროფათა რიგისათვის. უნდა გვესმოდეს, რომ ქართველობას და კავკასიას ძალზე რთული ამოცანები გვექნება გადასაწყვეტი ფრიად მძიმე პირობებში, სადაც ჯგუფური ეგოიზმი და ფანტიკური დიქტატორობის წადილი ისეთსავე კატასტროფას გვიმზადებს მომავალში, როგორც არ აგეცდა წარსულში მიუხედივად სწლაპრო ხელისშემწყობ და დამნმარე პირობებისა.

არის კიდევ ერთი გზა: ის ეხლა ჩვენ ხელთ არაა და მისი ანალიზიც ნაადრევია.

ბერლინი.

ტიტე მარგველაშვილი

ხადღეისო სხკითხი

უთუოდ ისეთ ქართველს ვერ ვიპოვით და ისიც ემიგრაციაში, რომელსაც საქართველოს დასახსნელად რაიმე გეგმა არა ჰქონდეს. შესაძლოა ჩვენი ტრადედიაც იმაში იყვეს რომ ყველანი, უფლებისა და შეძლების უკითხავად გეგმებს თხზავენ და ამით ხშირად ხელის შეწყობის მაგიერ აფერხებენ სხვათა მიერ გონიერად მოსახრებულ მოქმედებას. მაგრამ უბედობამ ისეთ პირობებში მოგვქცია, რომ შეუძლებელია ქართველის განება სამშობლოს არ დასტრიალებდეს. ყველა ჩვენს პირობებში ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩვენს ნაწამებ ქვეყანაზედ ფიქრობს და თუ მის მხსნელად სასწაულის გარდა რეალური ძალის საქიროებასაც ხედავს, ამ ძალთა შორის უნებურად ქართულ ემიგრაციასაც გულისხმობს. ემიგრაცია საქართველოს მხსნელად ვეუბნებ ვინმეს მიაჩნდეს. მაგრამ ამ ძალის ძებნაში-კი მთავარი როლი მას ეკუთვნის და ემიგრაციის დანიშნულებაც ეს არის. ამიტომ ვისაც საქართველოზე უფიქრია, მას უფიქრია აგრეთვე აქ გადმოხვეწილ ქართველებზე და, მათ შესაძლებლობაზე, მათ აწმყოსა და მომავალზე, ნაკლებ და მიღწევებზე და ამ ფიქრებით გართულს თავისთვის მაინც უთქვამს, რომ აქ, ემიგრაციაში მეტის ვაქვ

43

თბა შეიძლებოდა, მაგრამ რალაც მიზეზით შესაძლებელის მინიმუმის არ გაკეთებულა. ამ მიზეზს ბევრი გულწრფელად ეძებს და ვერ უპოვია, ბევრს თქმისა ერიდება და ბევრსაც დანახვა განგებ არა სურს.

მიუხედავად ამისა უთუოდ ყველანი შევთანხმდებით, რომ სამშობლოს დაკარგვის შემდეგ საჭირო იყო შექმნა ერთი ბაზისა, საიდანაც უნდა გვემოქმედნა ტყვეობაში ჩავარდნილ ქვეყნის დასახსნელად და მტერს თუ მოყვარეს საქმე ექნებოდა არა დანაწილებულ ძალებთან არამედ ერთ მაგარ არსებასთან, რომლის მთელი ძალაც მონმარდებოდა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს. მაგრამ ეს დღემდე არ მოხდა და ვფიქრობ ათი წელი საკმარის ფაქტებს მოგვეცემს გამოვარკვიოთ ამის მიზეზი და ნაკლი შევასწოროთ, რომ დროებით უსამშობლოთ ქცეულ ქართველთა ცოდნა და ენერჯია იმას მოხმარდეს, რასაც მოითხოვს საქართველოს რეალი ინტერესები.

საქართველოს ინტერესების სწორად გასაგებად მართა პოლიტიკოსობა არა კმარა და საჭიროა ერთგვარი ინტუიტური ძალაც, რომ ამ მანძილიდან ერის გულის ცემა შეუმდარად გაიგო. საჭიროა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის აწმყას და მის წარმომშობ მიზეზთა სწორად და მიუდგომლად ასახვა და აქედან ბუნებრივი და ლოგიკური დასკვნები მოვეცემს იმ გეგმას, რომლითაც უნდა იაროს იქ საქართველომ და აქ ემიგრაციაში.

უმიზეზოთ მოვლენები არა ხდებიან და ჩვენს დღევანდელ სიუძღურესაც თავის მიზეზები აქვს. ამ მიზეზთა დასანახავად საკმარისია თვალი გადავავლოთ იმათ ნამოქმედარს ვისაც თვით ერმა ჩააბარა თავისი ბედ-

საქართველოში მარქსის დროშიან ველურთა ბატონობას ბოლო არ უჩანს. პირიქით დღემდამ ძლიერდება შეტევები ყოველივე ქართულის წინააღმდეგ და ფეხ ქვეშ ითვლება ის რაც საუკუნოებით წმიდათა წმიდათ იყო მიჩნეული; იკრძალება ქართული ენა, იდევნება სარწმუნოება, ისპობა ერის საუკუნოვანი ტრადიციები, ინგრევა ქართული კულტურა, იზიდება ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და შეუბრალებლად, ჩინური წამებით იქლიტება ერის აქტიური, თივისუფლებისათვის მებრძოლი ძალები. ალბათ ისტორია იტყვის რომ საქართველოსთვის მისი არსებობის გრძელ მანძილზე, არავის ბატონობას არ მიუყენებია იმდენი ზარალი, რამდენიც ამ ველურთა ბატონობამ. ამათი შემოსევა ჩვენთვის პირველი არ იყო და საქართველო გულზელ დაკრეფილი არც ეხლა დახვედრია და ათი წლის წინედ დაწყებულ სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლას დღესაც განაგრძობს. დღესაც ითხრება სამშობლოსათვის თავდადებულთა ახალ-ახალ-



ლი საფლავები და ციმბირის ტაიგებში იგზავნება ქართველთა დაუსრულებელი ეტაპები. (სხადია, ამდენი მსხვერპლი, ისევე როგორც ამ ბრძოლებში მიღებული გამოცდილება უშედეგად ვერ ჩაივლიდა და ქართველთა ბრძოლის უნარი ახდელი სიფისიდან თავშეკავებულ სიმტკიცეში გადავიდა. ამ ათი წლის განმავლობაში მან სცადა და შემოვლილი გზები, სცადა ახდელი ქართველური შებრძოლებაც, მაგრამ სუსტს ძლიერის წინააღმდეგ თუ არა ხერხით, ღონით როდის მოუგია? საქართველომაც განიერულს საშვალეებას მიმართა და მოწვევებულ ბოღმას გულში იჩერებს იმ იმედით რომ ახლო მომავალში დადგება ხელსაყრელი მომენტი. როცა შესძლებს გაღვსილი მახვილი მტერს შიგ გულში მოუწომოს და ეს იმედი ინახავს მასში ბრძოლის სულსა და ენერჯიას.

იმედი მით უფრო საფუძვლიანია რომ მას ევროპაში, სადაც იკვანძება და სწყდება ქვეყნიერების ბედი, ეგულება მის მიერ არჩეული მთავრობაც, ამიტომ მთელი მისი გულისყური ევროპისკენ არის მიპყრობილი. ამ მთავრობას ემიგრაციაში ყოფნის ათი წელი უსრულდება. ათი წელი ისტორიისათვის არის ცოტა. ჩვენთვის-კი საკმაოდ მოზრდილი დროის ნაჭერია. ამ წნის განმავლობაში მრავალი დანგრეული სახელმწიფო აღორძინდა, მრავალმა პირველიცა და მეორეც მოასწრო ჩვენ—კი ისევე ერთ ადგილს ვდგევართ ერთ ადგილს ვტკეპნით, უკეთესობა არაფერში გვეტყობა. აბა გულწრფელადა ვსთქვათ: ამ ათ წელიწადში რამდენად წაიწია წინ საქართველოს განთავისუფლების საქმემ, ან რა ვაკეთდა და ვინ გააუეთა აქ ეროვნული საქმე? [რა არის მიზეზი, რომ მოხდა რომ მთელ რიგ ქვეყნებში დაკვარვით მოპოვებული ყურადღება და ბევრს იმედიც დაუკარგეთ? ნუთუ უმეცემდობას იჩენს ამ გამანთავისუფლებელ ბრძოლის ოფიციალური მეთაურებმა? ან იქნებ უსარგებლოა სოციალისტურ კონგრესების ქანდარაზე ჯდომამ? შედეგი თვალწინა გვაქვს და დასკვნა მჭიბველისათვის მიგვინდვია. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას ჰქონდა ოფიციალური მდგომარეობა და მასთანავე მოქმედობის ფართე ასპარეზი, ჰქონდა საქართველოდან წამოღებული დიდი ძალი—სიმდიდრე და სანამ უსხოეთი მას კარგათ გაიწნობდა ყოვენიერი შესაძლებლობა—არც შინ და არც გარეთ არაფერი ვაკეთებულა. სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაც რომ არ ვახსენათ, რომლებმაც გასწნობისთანავე მიზსგან ზედიზედ პირი იბრუნეს, აქაც ამ მსიერეობისთვის ემიგრაციის ფარგლებშიაც მას პოზიტიური არაფერი გაუქედებია. ემიგრაციის სხოვრების მოგვარებაზე მას არ უფიქრია, სამაგიეროდ ულასთა ბრძოლის გამარბავების მიზნით ემიგრაციის დასაშლელად და ერთმანეთში მტრობის ჩამოსავდებად მეცადინეობა არ დაუშლია. მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ბედის უშლმა ტრიალმა საქართველოს ბედი ხელში სწორედ იმ ხალხს ჩააბარა

ვინც ერის ინტერესების დამცველი არასოდეს ყოფილა მისი საზრუნავი მუდამ კლასი იყო და ამიტომ ეროვნული ემიგრაციის მოთხოვნილება და ინტერესები მისთვის უმნიშვნელო და გაუგებარი დარჩა. მთავრობა ეროვნულ ემიგრაციას დაუპირდაპირდა და ყოველგვარ სდას და ყოველ ინიციატივას, რომელსაც ემიგრაციის თავმოყრა და მისი სხორების მოგვარება ჰქონდა მიზნად დასაზუსტი თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა. ამიტომაც როცა სხვა ქვეყნის ემიგრანტები აქ სახლებსა და ეკლესიებს იშენებდნენ, ჩვენ პატარა ოთახი არა გვაქვს რომ ერთმანეთთან შეხვედრა შეგვეძლოს. მაშინ როცა სხვებს საკუთარი უნივერსიტეტები აქვს, ჩვენ ნაქირავეები ბინას არ მოგვეპოვება, რომ უსხოეთში მყოფ ქართველ ბავშვებს დედა ენა ვასწავლოთ. ჩვენს დროში ერის სიდიდე მისი კულტურით გაიზომება, ჩვენ კი ამ ათ წელიწადში ევროპაში ათი ახალგაზრდაც არ გამოვიზრდით; მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ სულ უბრალო—ქართველთა სწორი რეგისტრაციაც კი არ არსებობს და კიდევ უფთო სამარცხენო და დაუკერებელი: უბედურ შემთხვევების დროსაც მზრუნავი არავინ არის.

მაგრამ ვინც ქართველი მენშევიკების ბუნებას სოტათი მაინც იცნობს ემიგრაციის ამ პირობებში ყოფნა მას არ გააკვირვებს. ხანგრძლივმა პრაქტიკამ დავანახვა რომ ამ ძალის ჩარევისთანავე ყველგან ნგრევის, რღვევისა და დაშლის პროცესი დაწყებულია, რომ ყოველივე ქართული, მთლიანი და ეროვნულის დაღუპვა მუდამ ამ ძალის ჩარევის შედეგი ყოფილა. რადგან მარქსიზმი ის მავენე შხამია, რომელიც ერსა და მის ყოველ ატრიბუტს ძირშივე სწამლავს. ამ მოძღვრებით გაბრუნებულ ქართველთა ანტიეროვნული მუშაობაც ბუნებრივი და ლოლიკურია. ამ შხამით ნაკვებმა თაობამ ყოველივე ქართულს ბრძოლა საქართველოშივე დაუწყა და ამ თავის პროფესიას სიკეთესთან ერთად აქ უსხოეთში ამთავრებს.

ევროპის სახელმწიფოების სტრუქტურის აწლოდან დანახვამ, აქაურ თუნდაც სოციალისტურ მოღვაწეთა მოქმედებამ ჩვენს მარქსისტებს თავიანთი პრიმიტიული შეხედულებანი ვერ შეასვლევინა და ამით აიხსნება რომ არც ერთი ერის ემიგრაცია რა რიგ ღარიბი და უსახსროც არ იყვეს იგი ერი, არ არის ისე უორგანიზაციოდ და ყრილი და ისეთ უნუგემო მდგომარეობაში, როგორც ქართული ემიგრაცია, გარდა იმისა რომ დაშლა დაქუცმაცებითა და ერთმანეთში კინკლაობით მტერს ვახარებთ—მოყვარებებსაც ეადრთობთ. მაგრამ ამ ათ წელიწადში «კლასთა ბრძოლა» მის ქართველ იდეოლოგებს იმდენად გაუდრმავებიათ რომ ემიგრაციაში საჭირო ერთსულოვნება ამ ეკამად მიუღწეველი ოცნებაა.

ამგვარად ნაცვლად იმისა რომ ელიარებინათ თავიანთი დაუსრულებელი შეცდომები და მარქსიზმი დროებით მაინც სამშობლოს ინტერესებისათვის შეეწირათ—



—აქაც მარქს პლენხანოვის დროშა აგვიფრიალეს და განაგრძეს ის გზა, რომლითაც საქართველო ბოლშევიკებს ჩააბარეს. მარქსიზმის გაზეპირებით გართულ, ამ მოძღვრების ერთგულ მთაფრობას ჩვენთვის და ჩენი «უისტორიო» ქვეყნისთვის ცოტა დრო რჩება. იგი დატვირთულია უფრო «დიდი პრობლემებით». გადასაჭრელია ჩინეთის რევოლუციის საკითხი, ინდოეთის საქმეები და კიდევ უფრო შორიდან მოსული ამბები ამიტომ როცა ჩვენში საუკეთესო მამულიშვილთა ათასები სამ დღეში დაიხვრიტა ვეროპაში იმდენი არა თქმულა, რამდენიც ერთ რუსის გარტყევაზე. რადგან ამ საამაყო ქართველთა მთაფრობამ ქვეყანას დამამშვიდებელი «რა მოხდა?» მიაშურა და თუ დასჭირდებათ საკუთარი მასის თვალის ასახვევად «ჩვენ ქვეყანა ავაშენეთ, ქართულმა სოც. დემოკრატია საქართველო რუსეთს ჩამოაშორაო» გაპკივლებენ. ჩვენ ვიპით, რომ დემოკრატია მათი უმთაფრესი იარაღია, ვიპით ისიც რომ ჩვენს ისტორიას შეაფუროს და არარაობად გამოაცხადეს და ამიტომ მისი დამახინჯებაც აღარ გვაკვირვებს საქართველო სოც. დემოკრატიაში კი არ ჩამოაშორა რუსეთს—თვით საქართველომ ჩამოაშორა ეს სოც. დემოკრატია და აიძულა ისევ ქართველებად გადანათლულიყვნენ. სოც დემ-ს ათეული წლები მშვიერი ებრაელის ბოდვით გატაცებულს გრინტი არ და უძრავს საქართველოს გამოყოფაზე და რომ ეს საჭიროდ არც მიაჩნდათ ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ფაქტის შემდეგ ნ. ყორდანიამ რუსეთში ტელეგრაფი აფრინა: «დავიღუპეთ, დამოუკიდებლობა გამოგვატყდადებინეს»ო.

მაგრამ რა საჭიროა წარსულში ძებნა, როცა აწმყო სავსეა მათი ნამდვილი რაობის დასანახავად უფრო კლასიკური მაგალითებით. ვანა საკმარისი არ არის მოვიგონოთ ქართველ მოღვაწეთა პროვოკატორებათ გამოცხადება რომ ნათელი შეიქმნეს მათი მიზანი? ეს უკვე საიდუმლოს აღარავეისთვის შეიცავს და სწორედ ამ საიდუმლოს გახსნის შედეგი იყო ამ მთაფრობის არ გავანძილი და არსადნახული იზოლიაცია, რომელიც დღესაც გრძელდება.

[გაგრძელება იქნება]

ს. ტა.

პატარა კახი

«პატარა კახი» იდგმება... ნუ იძის მაგ ხალხმა ყველაფრის გაშარქება. აი ბაასი, წინადადებდა და მისი პასუხი, რომელსაც გაიგონებდით 4 ივნისამდე. 4 ივნისი... წარმოდგენისკენ მივეშურები ნახევრად უიმედო, ნახევრად იმედიანი, მაგრამ უფრო მგონია ახალგაზრდობა დასძლევს ამოცანას და პირნათელი გამოვლა ამ პირველ კულტურულ გამოცდიდან.

წარმოდგენა... იმედის სრული განადგება. ქ-ნ ვალიაკედიას და ელენე მამულა-იშვილის ფაქიზი და დაკვირვებული თამაში და მათთან შეწყობილი მთელი ანსამბლი საზოგადოებას აღფრთოვანების გრძობის გამოხატულებას-მხურვალე ტაშს გამოსტაცებს, საუკეთესო ჯილდო ბ. შ. ნებიერიძის გონიერი და ნიჭიერი შრომის დასაფასებლად.

გამოვდივარ წარმოდგენიდან «გაშარქებაზედ» აღარავინ ლაპარაკობს, მხოლოდ ორიოდე ემიგრანტული თბივანული რაღაცაზედ ბუზღუნებს. მაგრამ ღირს კი მათზედ ლაპარაკი? ეს ხომ ის ხალხია ვისაც ღმერთმა უთხრა—გაკეთების შნა არ გექნეს და სხვისი კი გშურდესო.

«პატარა კახი» დაიდგა, ამით ემიგრანტული სხოვრება სოციალი მანის გამაზნდა. დასის შემდეგი მუშაობა თვით დასზედ და მთლიანად ქართულ საზოგადოებაზედ არის დამოკიდებული თუ რა მზრუნველობას გამოიჩენს დასის მიმართ. 4 ივნისის დამით ნასიამოვნები და გახარებული ჩუმად მივდიოდით პარიზის ქუჩებზედ და ჩუმათვე ვამბობდი: გამარჯვება დაწყებულ საქმეს.

ბამა.

ქაქუცას ხსოვნის საღამო.

19 ივლისის ვიროფლეში შეფიცულთა ბინაზე ქალბატონ ს. კედიას თაოსნობით მოეწყო უკვდავ ქართველის ქაქუცას ხსოვნის საღამო. საღამოს პროგრამა შეიცავდა ხალხური პოეზიის ნიმუშებს; დიდის ხელოვნებითა და გემოვნებით შედგენილ პროგრამაში მოცემული იყო დამახასიათებელი სურათები; მითოლოგიის ხანიდან, საგმირო ხანიდან, ხალხური ლირიკიდან და სხ. პროგრამის თვითვე ამ ნაწილზე დაწერილებით შეჩერება ზედმეტი არ იქნებოდა მაგრამ ამას შევეცდები სხვა დროს დაუბრუნდე, ამ უკვდავ კი საღამოზე მიღებული საუკეთესო შთაბეჭდილებანი იმდენად ძლიერი იყო, რომ მიჭირს საერთო სურათიდან რომელიმეს ამოღება და მისი ცალკე გარჩევა თვითველი ხანის დამახასიათებელი სურათი ისეთი ისტორიული სინამდვილის დასვეითა და მხატვრული სიძლიერით იყო გადმოცემული რომ აღარც კი იძი თუ რომელი სურათი სჯობდა. ასეთ საღამოების მოწყობას ნორმალურ პირობებშიც,

საქართველოში უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა, აქ კი ქართულ ემიგრაციისთვის ეს იმდენად საგულისხმო მოვლენაა, რომ მსგავსი ბევრი არ მომხდარა. გარდა იმისა რომ ასეთ ოსტატობით და ორდინით მოწყობილ სადამოებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ეროვნული კულტურასა და კერძოდ ხელოვნების განვითარებისათვის მათ აქვს აგრეთვე უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობაც, განსაკუთრებით იმ მოზარდ თაობისთვის რომელიც ჩვენი ქვეყნის უბედობამ სამშობლოს მიწაწყალს გარეშე აღზრდა და რომელთაც ამიტომ არა აქვთ შეგონებითი ჩვენი ხალხური პოეზიის სიდიდე. სადამოზე მიღებული შიდაბეჭდვითი ღონისძიებებმა ჩვენებს რომ ქალბატონ კედიას მიზანის ეს ყოფილა რომ ამ თაობაში ქართული სული საჭირო სიძლიერით შეინახოს მე ვფიქრობ რომ ეს იშვიათად შერჩეული ზღაპრები, თქმულებები და ლექსები ამ მხრივ დიდ სამსახურს გაუწევენ თვით მოთამაშე და მაყურებელ ჩვენს ნაზარ თანამემამულეებს.

დაბოლოს არ შემოიძლიან არ აღვნიშნო უკანასკნელი და განსაკუთრებით მგრძობი არე სურათი: აივანზე გადმოკიდულია ქართული ეროვნული დროშა. დროშაზე კუთხეში სამფერის ზემოთ სდგას ქაქუცას გადიდებული სურათი. ამ სურათს ქვეშიდან რამდენიმე წუთი ჩუმად შეჰყურებს სამფეროვან დროშებით ხელში ყმაწვილ ქალ-ვაჟთა გუნდი. კულისებიდან სიმღერა ისმის. ასრულებენ ქაქუცაზე საქართველოში შეთხზულ ხალხურ სიმღერებს. სიმღერებს ლექსები სცვლის, რასაც რიგ-რიგობით აგრძელებენ. ეს სიმღერები და ლექსები დამსწრე საზოგადოებაზე იმდენად ღრმა შიდაბეჭდვით ლებას ახდენს რომ უთუოდ დიდ ხანს დარჩება მათ მესხიერებაში.

საერთოდ გადამეტებათ არავინ მიიჩნევს თუ ვიტყვით რომ ეს სადამო დიდ ხანს დარჩება ქართული მხატვრული გემოვნების ნიმუშად.

ბატონო რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი ჟურნალის საშუალებით ვამცნოთ სამშობლოს მოწყვეტილ და მის ჰაერს დანატრულს ქართულობას, რომ პარიზში დაარსდა ქართველ სცენის მოყვარეთა მუდმივი დასი, ბ—ნ შალვა ნებიერიძის ხელმძღვანელობით.

მისი საარსებო წყარო ის შემოსავალია, რომელიც წარმოდგენებზედ დარჩება და გულშემატკივარ მამულიშვილთა შემოწირულობანი.

იმედი გვაქვს ქართული საზოგადოება ამ კულტურულ წამოწყებას სათანადო დახმარებას გაუწევს.

რდ. დასი

შეცდომები გასწორება

1) 6-ე გვერდზე მოთავსებულ კლიშეს უნდა ეწეროს ქაქუცას ბინა ვიროვლეიში.

2) 15-ე გვერდზე ქვევიდან მესამე პრეწალზე, გამოტოვია «omnia mea mecum porto» ს

სარედაქციო კოლეგია

“AKHALI IVERIA”

რედაქციის მისამართი: 113, Quai de Javel, Paris-15^e

Gérante : L. Saint-Remy

ფასი 3 ფრანკი.